# ვეფხისტყაოსნის სიბრძენე

»ნაკადული«
თბილისი
1977

С(Даг)+Сф(Даг)2
894.612.1+894.612.2+398.2(47.92)
з 146

კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, ჩრდილოეთ ოსეთსა და დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის გაფენილია ვაინახების ქვეყანა — ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ქართველთა კარის მეზობლები, ერთმანეთის მონათესავე ხალხები — ჩეჩნები და ინგუშები თავიანთ თავს ვაინახებს უწოდებენ. მათი თვითმყოფადი ხალხური პოეზია შორეულ წარსულში იღებს სათავეს, ხოლო დამწერლობითმა ლიტერატურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეძლო აღორძინება. დღეს მთელს ჩეენს ქვეყანაშია ცნობილი ჩეჩენი და ინგუში მწერლების თვალსაჩინო წაწარმოებები.

დღემდე მხოლოდ ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეა მიმობნეული ჩეჩნური და ინგუშური ლიტერატურის ნიმუშების მცირერიცხოვანი თარგმანები. ცალკე წიგნად კი არაფერი გამოქვეყნებულა. ამ ხარვეზის შესავსებად შევადგინე და ვთარგმნე ეს წიგნი — ჩეჩნურ-ინგუშური პოეზიის მცირე ანთოლოგია. მასში შეეიდა ხალხური პოეზიის ნიმუშები და ჩეჩნურ-ინგუშური პოეზიის თითქმის ყველა ცნობილი წარმომადგენლის დექსები. წიგნზე მუშაობის დროს საქმიანი დახმარება გამიწია ცნობილმა ჩეჩენმა პოეტმა ქალმა, ჩეჩნეთ-ინგუშეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ რაისა ახმატოვამ.

კეთილი იყოს ქართველ პოეზიისმოყვარულთა შესვედრა ჩეჩენ და ინგუშ პოეტებთან!

მთარგმნელი

## თარგმნა
## თეიმურაზ ჯანგულაშვილმა



# ხალხური პოეზია



## მარტივალი სიტყვა

ყოველთვის ასე ყოფილა: როცა
შორ და ძნელსავლელ გზას დაადგები,
კარგი ცხენისთვის
შეყივლებაც
საკმარისია.
საფეხვნოს წრეში, რის პატიოსას
ადამიანთა შორის ჩადგები,
მართალის სიტყვის
ერთხელ თქმაც კი
საკმარისია.

## ტრიალ მინდორზე

ტრიალ მინდორზე, სადაც
არ გყავს მშობელი დედა,
რომ დაგიტიროს შენ,

მტრის ქვეყანაში, სადაც
არა გყავს ღვიძლი დაი,
რათა გიგლოვოს შენ, —

ეს რუსი მგელი განა
დედა არ არის შენი?
ეს შავი ყვავი განა
დაი არ არის შენი?

იმ ცისფერ ფრინველს ჰგავსარ,
იქ რომ ათენებს ხოლმე,
სადაც მიუსწრებს ღამე.

მხოლოდ ბრძოლაში არჩევ
ბოლო წუთამდე დარჩე,
არ მოიცვალო ფეხი.

ოვალი შესწვდება მხოლოდ
კამარას ლურჯი ცისა.
განა შეეძლო ვინმეს,
კამარა ლურჯი ცისა
როგორც ნაბადი თვისი
წამოესურა ისე
და გაეცვითა მხრებზე
კამარა ლურჯი ცისა.

კაცი ფეხს ადგამს მხოლოდ
ამ შავი მიწის უბეს.

განა შეეძლო ვინმეს,
ეს შავი მიწის უბე,
რომ ვეცვალა როგორც
თავისი ნექმის ძირი?

სამზეოზე ხარ როცა,
ვით არ იმღერებ, მითხარ,
ვით არ ისარებ, მითხარ,
განა კუბოში ვინმე
მსიარულობს და მღერის?

თუ სასლში მღერის არვინ,
არ მსიარულობს არვინ,
პატარძალთაგან არვინ
არ წამოიწყებს ქარგვას.

თუ მინდვრად მღერის არვინ,
არ მსიარულობს არვინ,
უხუცესთაგან არვინ
ხელს არ წაავლებს გუთანს.

ტყეში ირემი ყვირის,
ნეტავ ვის უსმობს იგი?
ცაში არწივი ყივის,
ნეტავ ვის უსმობს იგი?

ის ხარირემი განა
თავის ირემლაღს უხმობს,

ეს ის არწივი ვანა
ლაგის მეკობარს უსმობს. —

ჩვენი ვაუკაცნი ქარად
მიაქროლებენ რაშებს,
ბრძოლად ესწრაფვით გული
ვაალმასებულ ვაჟებს.

## ფთებო, ფაღლებო

ამაყად დგახართ მთებო, მაღლებო,
ვერ ეწვდებათ თვალი, მთებო, მაღლებო
ქცეულა ობოლთ თავშესაფარად
თქვენი კლდეები მიუვალები,
ბშობელ კერიდან გაძევებულნი
თქვენს ხეობაში ხეტიალობენ.
რად არ გადიღებს ცრემლების წვიმა?
ასეთი ბედი რად ერგოთ წილად?

ნამდვილი ტანჯვის უცოდინარი
თუ დაიკვნესებს, — ეს გული მაშინ
უნდა დაიწვას ამდენი ტანჯვით
ნამდვილი დარდის უცოდინარი
თუ ატირდება, — ეს თვალი მაშინ
უნდა დაბრმავდეს ამდენი ცრემლით.

ეს წუხილი რომ ცას შევაფრქვიო,
ცა ვერ გაუძლებს სიმძიმეს მისას,

ჩაეოინგრევა, ჩამოეესობა,
ამ წუსილიეით უსაზღვრო მიწას.
და რომ შემეძლოს, თვით დედამიწას
გადავცე დარდი, — ვერ გაუძლებდა,
გაუსკდებოდა მკერდი ვეება.
და რომ შემეძლოს ავანთო დარდი
კოცონად — სავსე მდინარეები
დაშრება, ისე ცხელია იგი!
რომ შევძლო ტყეებს გადავცე დარდი,
ტყე შავ ღრუბლებში ჩაიძირება,
არ გაეშლება არც ერთი კვირტი,
ისე მძიმეა წუსილი ჩემი!
მზე ყველა ყინულს გაალხობს ტბაზე,
ცზის ნაზი სხივით დადნება თრთვილი.
მე ვინ გამათბოს, მე ვინ გამილხოს
გულში ყინული მწუხარებისა,
ვინ გამიფანტოს დარდის ღრუბელი,
მზე ვინ ამინათოს გაზაფხულისა?

## დედის მწუხარება

— ჩემი სალამი, მგზავრებო!
უცხო მხარეში გხვდებით.
— უცნობო დედავ, სალამი!
სად არ გვატარებს გზები.
საღლა არ მიგვერეკება
ჩვენი ბედკრული ბედი.

ალბათ შენც გიჭირს რაიმე,
ვინმეს თუ ეძებ, ღელი·
— სხვის ქვეყანაში დავდიკარ,
უცხო მთაზე და ველზე,
ჩემს მართვეს, ჩემს სულეიმანს,
ჩემს საყვარელ შვილს ვეძებ·
სად ვნახო ჩემი ნუგეში,
გული უმისოდ ვერ ძლებს,
ხომ არსად არ შეგხვედრიათ
ამ უცხო ქვეყნის გზებზე
ჩემი ღვიძლი სულეიმანი,
უბედური სულეიმანი?
— ამ უცხო ქვეყნის მიწაზე,
ამ უცნობ შარა-გზებზე
გზადმიმავლებმა ვიხილეთ —
სძინავს ლურჯი ზღვის ფსკერზე.
ზღვის კენჭებზე წევს ჭაბუკი,
ტალღა გადასდის მკერდზე·
შენი ღვიძლი სულეიმანი,
უბედური სულეიმანი
წევს გაუნძრევლად, სხეული
დაჩეხილი აქვს ხმლითა,
შფოთავს და მწარედ დასტირის
ზღვა მგლოვიარე ხმითა.
იმის ნახმლევ გვამს აბანებს
ზღვა თავის მლაშე ტალღით,
ცის ფრინველები მძინარეს
ნანას უმღერენ მაღლით.

— პოი, როგორ მკლავს წყურვილი,
ცეცხლი მინთია გულში,
ერთთავად უნდა დაველიო, —
ის ზღვა მაჩვენეთ ლურჯი.
ო, სულს მისუთავს შიმშილი,
მზე მიწითლდება ცაში,
ძალმიძს მთლიანად შევჭამო,
რაც კი კენჭია ზღვაში.
ჩემო ბარტყო სულეიმანო,
უბედურო სულეიმანო,
იმ ლურჯ ზღვასთან წამიყვანე
შენი გულმოკლული დედა.

## ი რ ე მ ი

ბინულს, რომელიც კლდეს ყინულად დაეკიდება,
არ სვამს ირემი, გვერდს აუქცევს და ერიდება.

ფრთხილად ჩაუვლის ღვიის ბუჩქებს, წიფლებს და წნორებს
და ხეობაში ჩადის, სადაც წყალი დის მდორედ.

სვამს და თან ირგვლივ იყურება ყურდაცქვეტილი,
წყურვილს არც იკლავს, წყალს შორდება გულდაწყვეტილი.

იცის, ოდნავაც რომ დამძიმდეს მისი სხეული,
თუნდაც გაიქცეს, დაეწევა მტერი წყეული.

ფრთხილია იკი. თვალს არც ხუჭავს, ისე აიენებს,
დიდხანს ილესავს სალ კლდეებზე რქებს, ვით სატევრებს.

მოუთმენელად ურტყამს ჩლიქებს ფესვებს და ქარაფს,
მერე ბეჭებზე რქებს გადაკრის და მიქრის ქარად.

ფურირემს უხმობს. არვინ მოდის. კვლავ მარტო რჩება
ასეა კაციც — სიყვარულით ვერასდროს ძღება.

* * *

ცხელი ხარ, ტყვიავ, და სიკვდილი დაგყვება თანა,
მაგრამ ერთგული ჩემი მონა არ იყავ განა?

შავო მიწაო, ნუთუ მკერდზე შენ დამეყრები?
მაგრამ განა მე არ გთელავდი ცხენის ფეხებით?

ჰოი, სიკვდილო, რა ცივი ხარ, რარიგ ბორიტი,
მაგრამ მე შენი მბრძანებელი ვიყავ ბოლომდი.

სხეულს ნადავლად მივცემ მიწას, შავს თუ აყალოს,
მაგრამ სულს ჩემსას შენ მიიღებ, ცაო მაღალო.

## ნაკადული

ნაკადული, მთით რომ მოჩქეფს, დაე, ოქროსფერი იყოს,
კენჭები იმ ნაკადულში, დაე, ვერცხლისფერი იყოს,
იმის ირგვლივ მდგარი მთანი, დე, სპილენძისფერი იყოს,

მთის ბალახი აბრეშუმის კაბად შესაკერი იყოს,
მთის კალთებზე იმ ზღაპრული ფარჩის კაბით გაიარო,
მარჯან, მზეო, მოცინარევ, მარჯან, ალვისტანიანო.

## ქალიშვილის სიმღერა

ყაზბეგს თავი შეეჭირხლა, ამბობენ,
თერგს ყინული გადაეკრა, ამბობენ,
მაგრამ ქარი ჭირხლს გაფანტავს, ამბობენ,
ცხე იმ ყინულს გაადნობსო, ამბობენ,
თბილიდან ჭირხლს ვინ გამოფანტავს, მითხარი,
მკერდში ყინულს ვინ გამოდნობს, მითხარი...

## სიმღერა სერგოზე

მოშრიალე მუსნარებზე
მოდიოდნენ მაიელნი,
უბილიკო უღრანებზე
მოდიოდნენ მთიელნი,
კაჟიანი დამბაჩებით
მოდიოდნენ მთიელნი.

უსახელო სამარხთან
თეთრებს მოჰკრეს თვალი.
იქ როდის დაბანაკდა
სისხლისმსმელთა ჯარი?

უცებ აღლაპარაკდა
დამბაჩა და ხმალი.

ყველანაირი გამძვინვარდნენ
ინგუშნი,
მტერს ვინ შუბლში უმიზნებდა,
ვინ — გულში.
ჰქონდათ ცოტა ფოლადი
ინგუშებს,
ჰყავდათ ღარიბი ბელადი
ინგუშებს,
გვერდით ედგათ ერჟკინეზი*
ინგუშებს,
გული ჰქონდათ უმტკიცესი
ინგუშებს.

ერთ პარტიზანს თმაჭაღარას
მკერდში მოხვდა ტყვია;
ეს მთაკაცი რა პატარა
ტყვიამ წააქცია.

ნატყვიართან ჩაიმუსლებს
სერგო ერჟკინეზი,
ღრმა ჭრილობას ზრუნვით უსვევს
სერგო ერჟკინეზი.

---

* ერჟკინეზი — ასე ეძახდნენ ინგუშები სერგო ორჯონიკიძეს. ეს სიტყვა ინგუშურია და ნიშნავს „ღარიბთა თავადს“.

იყო გმირი ბოლშევიკი
სერგო ერეკინეზი,
მიუძღოდა არწივთ იგი —
სერგო ერეკინეზი.

მზე მიდამოს ნათელს მოფენს,
დილა არის მშვიდი,
მეალობელი ჩიტი მოფრენს,
ოქროვულა ჩიტი.

სადაც საძმო საფლავია,
იქ მუსაც დგას დიდი,
მუსის ტოტზე შემოჯდება
მეალობელი ჩიტი.
მღერის ჩვენი ქვეყნის მთებზე,
ჩვენს ველებზე მღერის,
მღერის მებრძოლ ვაჟკაცებზე,
ერეკინეზზე მღერის.






ახმატ ნუჩაევი

## განშორება ყველასთან

(ზელიმხანზე* ნათქვამი სიმღერებიდან)

გუშმუზაკი მიატოვა,
რომლის ფიქრსაც იყოფდა,
ისმაილი მიატოვა,
რომლის დარდსაც იყოფდა,
სოლთმურადი მიატოვა,
ვის ტანჯვასაც იყოფდა.
ზელიმხანი მარტო დარჩა,
ვით მართვეებდაკარგული

---

* ზელიმხანი — ცნობილი აბრაგი. მასზე, როგორც ღარიბთა დამცველზე და უსამართლობასთან მებრძოლზე, მრავალი სალსური სიმღერაა შექმნილი.

ვულმამაცი შევარდენი.
ზელიმხანი მარტო დარჩა,
ვით ირემი ცრემლნადენი,
თავის ჯოგს რომ ჩამორჩება.
ზელიმხანი მარტო დარჩა,
როგორც ღედა, ვზად მიმავალს
შვილები რომ ეკარგება.
ზელიმხანმა ძმების ნაცვლად
ტყეში ხენი იპოვა,
მეგობართა ხმების ნაცვლად
ნადირთა ხმა იპოვა,
მატელის რბილი საბნის ნაცვლად
ზეცის კალთა იპოვა,
თბილი სასთუმალის ნაცვლად
გრილი მიწა იპოვა,
ცმაურიან აულს ნაცვლად
მან ყრუ ღამე იპოვა.
წყურვილს ციურ ნამით იკლავს
შიმშილს ფოთლის ჭამით იკლავს.
ის კაჟიან სალ კლდეებზე ხეტიალობს,
მთის კალთების ფლატეებზე ხეტიალობს,
ღრუბლებს მაღლა მწვერვალებზე ხეტიალობს,
შევარდნების ბუდეებთან ხეტიალობს.

და აულის ღარიბები
წერილს სწერენ ზელიმხანსა,
მთებში მიაქვთ ქარის ფრთებით,
უტოვებენ ზელიმხანსა.

ზელიმხანი ბილიკს მისდევს,
მერე ციცაბოებს მისდევს,
შემდეგ ბნელ ხეობას მისდევს.
და პოულობს იმ თეთრ ქალალდს
და კითხულობს იმ თეთრ ქალალდს:
— შენი გული არის ჩვენი, ზელიმხან,
დე ხიფათი აგაცილოს ზენამ!
კვალში გდევენ ჩვენი მტრები, ზელიმხან,
უნდათ სელში მალე გიგდონ შენა.
გადაწყვიტეს ჩვენმა მტრებმა,
დაგიჭირონ, ჭკვა გასწავლონ, ზელიმხან!
გადაწყვიტეს ჩვენმა მტრებმა,
რომ ოჯახი დაგიტყვევონ, ზელიმხან!
ოჯახი მალე წაიყვანე,
ერანიტის ბილიკით წაიყვანე,
ლრუბელთა გზებით წაიყვანე,
არწივთა მეზობლად წაიყვანე!...

ვით მამაცი შევარდენი,
ძლიერად რომ გაშლის ფრთებსა,
ვით მდინარის მღვრიე ჩქერი,
როცა სტოვებს მაღალ მთებსა,
თავის კოჭმაღალი ცხენით
ისე მოქრის ზელიმხანი.
თავის აულს შუაღამით
მოადგება ზელიმხანი.
დაინახა სახლის კარი,
აუჩქროლდა გული ცხელი,

ცხენის საბმურს მოჰკრა თვალი,
ზედ მიაბა შავრა ცხენი.
აკაკუნებს კარზე წყნარად,
და მშობლიურ ჭერქვეშ შედის,
მკერდზე ცოლი თვალმწყაზარი
შეაფრინდა როგორც მტრედი.
გაიღვიძეს, ვით მგლის ლეკვნი
აწრიალდნენ შვილნი მისნი,
ფართო მხრებზე ცოლი ეკვრის
და მუხლებზე — შვილნი მისნი.

— შენთან ერთად სიხარული
დაგვიბრუნდა, — ეტყვის ცოლი.
მაშინ უფრო მუქდებოდა
შავი ნისლი, მთებზე მწოლი,
და ციხე-კოშკ ვედინოში
საგანგაშოდ რეკდნენ ზარებს.
— როგორც კი შენ გიგონებდით,
გვისველებდა ცრემლი თვალებს,
მტრის ხელთ, მამა ზელიმხანო,
არ ჩავარდე, შეგვიბრალე,
გვედრით, მამა ზელიმხანო,
გაერიდე სახლ-კარს მალე.
თუნდაც ერთხელ წელიწადში,
მოდი ხოლმე, გულით გელით,
ყოველ თვეში, ზელიმხანო,
ნუ მოგვაკლებ თითო წერილს.
ფრთხილად იყავ, ზელიმხანო,

მტრის ტყვეობა აიცდინე,
ნუ დაწვები, ზელიმსანო,
შენს ჭერქვეშ ვერ დაიძინებ,
აულშიც გვყავს მოღალატე,
მალე წადი, გაგცემს ვინმე.
— აბა ნქარა მოემზადეთ, —
ცოლ-შვილს ეტყვის ზელიმსანი, —
უნდა მძიმე გზას დავადგეთ,
მიგველიან ჩვენი მთანი.
გრანიტის მწვერვალებთან წაგიყვანთ,
ღრუბლების ბილიკებით წაგიყვანთ,
არწივთა ბუდეებთან წაგიყვანთ!

ადგა ცოლი ზელიმხანის,
შეეკუმშა მკერდში გული,
იცვამს ცოლი ზელიმხანის,
ტირის სახემონისლული.
პაწიებიც ზელიმხანის
მოემზადნენ იმ ბნელ ღამით,
და ოჯახი ზელიმხანის
კერას ტოვებს იმ ბნელ დაზით.
გზას დაადგა ზელიმხანი,
თავშესაფრად ელის მთანი.
ერიღება ლაპარაკსაც,
მიჰქრის როგორც ნიავქარი,
როგორც ქურდი ნაპარავსა
ოჯახს მთებში მიაქანებს.

## მამაცო გულო

რა ბნელი ღამე ჩამოდგა,
რა ბნელი ღამე,
გაგიჟებული ქარბუქი
მიჰბღავის ხრამებს.
ჰოი, ნუ შიშობ, ნუ შიშობ
მამაცო გულო!
ჰოი, ნუ შიშობ, ნუ შიშობ,
ამაყო გულო!

ამ ბნელ, შემზარავ ღამეში
ხმა ისმის სროლის,
აულებს სწვავენ, ცას სწვდება
ალი და ბოლი.
ჰოი, ნუ შიშობ, ნუ შიშობ,
მამაცო გულო!
ჰოი, ნუ შიშობ, ნუ შიშობ,
ამაყო გულო!

სახლს დედაბოძი წაექცა,
ჩამოწვა ჭერი,

მტერთან ბრძოლაში დაეცა
მებრძოლი ჩვენი.
ჰოი, ნუ სტირი, ნუ სტირი,
მამაცო გულო!
ჰოი, ნუ ჰგოდებ, ნუ ჰგოდებ,
ამაყო გულო!

წითელი დროშით ვეკვეთეთ,
ვაძგერეთ ხმალი,
მოვსპეთ და გავაცამტვერეთ
თეთრების ჯარი.
იცინე და იზეიმე,
მამაცო გულო!
იცინე და იზეიმე,
ამაყო გულო!

## ᲪᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲡᲣᲚᲘ

ამოვარდა
ცივი ქარი,
მოიმარჯვა
ყინვის ფარი.
ჩვენ დავშორდით, რათ დავშორდით,
ვერ.გავიგე, ღმერთმანი.

ერეკება
ქარი ღრუბლებს,
შეიკრავენ
მთანი შუბლებს.
ნუთუ მართლა ვთამაშობდით,
ვერა ვცნობდით ერთმანეთს...

ჩვენი გზები
გაიყარა.
ზეცაე მზე ვერ
გაიკარა.

ვაი, რა ვქნა, გულს მიდაღავს
უსაშველო ნაღველი.

ვასავიავდნენ
ჩვენი გზები,
ალარ ველი
წვიი და გზნებით.
სიზმარშიაც ველარ განავ,
ვაი, რა შორს წახველი...

დღეა გრძელი,
ღამე — ბნელი.
წვიმს და სწუსან
მთები სველი.
ნეტავი რა ეშველება
ამ ავდრიან გაზაფხულს?

აიშუქა
უცებ ცამა,
მიწას სსივი
დაენამა.
დაგივიწყებ, ეგებ შვება
გულს მიეცეს დაზაფრულს.

* * *

როდესაც დგება საღამო,
როდესაც დილა მოდის,
სატრფო გვერდით რომ არა მყავს,
გული მიტირის შფოთვით.

ვით ბუმბულს ალი, მიზიდავს,
მასზე ოცნებას ვქარგავ,
თუ ვერ ვიხილავ დღისითაც,
დარდით გონებას ვკარგავ.

ყოველთვის ფრთხილი ვიყავ,
ახლა რა მომდის ნეტავ,
მზადა ვარ, დაუფიქრებლად
მოვტყუვდე, როცა გხედავ.

მოდი, მოგელი საღამოს,
მოდი, მოგელი დილით,
მზის დამწველ სხივად დამეცეს
შენი მკდავების ჩრდილი.

მწკანე მიწა და ლურჯი ცა
ვერა ხედავენ განა,
ნემს უსაშველო სიყვარულს
მოწმედ ყვავილნიც პყკანან.

დაისრულო და ტანჯულო
ბულო, გეყოფა გმინვა,
რატომღა ფიქრობ იმ ვაჟზე
თუ არ უყვარხარ იმ ვაჟს.

## სიყვარული

ღამით, როცა ვხუჭავ თვალებს,
ვხედავ,
როცა ვაღებ დილის კარებს,
ვხედავ,
ოქროსფერო ჩემო მთვარეე,
ვხედავ,
ძალზე ძლიერ მიყვარხარ შენ,
მალიქეი!

მაგ შენს თვალებს მოციმციმეს
ვხედავ,
შენს მზისფერ თმებს — ოქროს სიმებს
ვხედავ,
შენს თეთრ სახეს, როგორც იმედს,
ვხედავ,
ძალზე ძლიერ მიყვარხარ შენ,
მალიქეი!

სკოლის ეზოს ავუვლი და
გხედავ,
წითელ დაფას ჩავუელი და
გხედავ,
სადმე წავალ აულიდან,
გხედავ,
ძალზე ძლიერ მიყვარხარ შენ,
მალიქეთ!

ნუ ინებებ, დავრჩე ქვეყნად
ვით ფრინველი ღამისა,
ანდა თევზი, მთის მდინარე
ტალღებში რომ ჩანისლავს,
მქონდეს გული დაჟანგული
გრილ სილაში ჩალისფრად,
ძალზე ძლიერ მიყვარხარ შენ,
მალიქეთ!

არა, ყალიმს არ მოვიტან,
დრო წასულა ყალიმის,
ვაჟკაცური მკლავი მომაქვს,
შემართება ხარირმის,
შენი ერთი შემოხედვა
გულში ელვად დამივლის,
ძალზე ძლიერ მიყვარხარ შენ,
მალიქეთ!

განასლებულ მშობელ მხარეს
ვხედავ,
ზეცის სიღრმეს მოელვარეს
ვხედავ,
ჩემს ოქროსფერ სავსე მთვარეს
ვხედავ,
ძალზე ძლიერ მიყვარხარ შენ,
მალიქეთ!



ბოლქან ანზოროვა

## ასლა ჩვენ ვცხოვრობთ

გაზაფხულმა ხურჯინებით მოგვიზიდა
ყვავილები საოცნებო,
უნაზესი შრიალით რომ მოჰქრის ციდან,
სსივია თუ საოცრება.
მზე იცინის, კეკლუცად რომ აფოფინოს
ყვავილები ათასფერი,
სოფელს ჩვენსას შვენის კაბა საქორწინო
და ველებს მთა ვით თამადა გადასცქერის.
გავხდით ასე მდიდრები და ძლიერები,
სარობს ხალხი, მღერის გული,
მხარში გვიდგას სიკეთე მეცნიერების
და წინ მივქრით ფრთაშესხმული.

ვსწავლობთ კიდეც, ვისვენებთ და ვშრომობთ კიდეც,
მეცხრე ზეცას ვწვდებით ფრთებით,
ჩვენს სიხარულს, ჩვენს სიყვარულს არ აქვს კიდე
და ავმაღლდით როგორც მთები.
ქალ-ვაჟები, ვით ჩიტები თავის ბუდეს,
ისე მოსწყდნენ თვითმფრინავებს,
მოალერსე ქარის ფრთები პარაშუტებს
ცისფერ ნისლში ანანავებს.

* * *

მე თუ დილით ვერა გნახე,
დღის სინათლე მიქრება,
საღამოს თუ ვერა გნახე,
დილის შუქი მიქრება.
შეგხვდები და გონსა ვკარგავ,
ცეცხლში ვდგავარ იქნება...
რა ვქნა, რა ვქნა, ჩემო კარგო,
შენვე მითხრა იქნება.
დაე, მკერდზე მცემდეს სეტყვა, —
ავიტან;
ყინვის რკალი შემომერტყას, —
ავიტან;
დე, უწყალოდ მწვავდეს ხვატი, —
ავიტან;
მიბრმავებდეს თვალს წყვდიადი, —
ავიტან,

მაგრამ შენთან განშორებას
ვერ ავიტან წამითაცა,
ვაი, რაი მეშველება,
ეს რა ცეცხლმა წამიტაცა...
თუ თქვენ იგი არ გინახავთ,
თვალი ჰკიდეთ სავსე მთვარეს,
თუ თქვენ იგი არ გინასავთ,
მზეს შეხედეთ სხიველვარეს.
დე, ჩამიქრეს მთვარის შუქი,
მზის ღიმილიც, ასე ნაზი,
ჩემი სატრფო მზეჭაბუკი
მათ თუ არ სჯობს სილამაზით.

* * *

ცამ აიშუქა და მტრედივით მოფრინდა დილა,
მდუმარე ბაღშიც ფრთის შრიალით დაეშვა სწრაფად,
იქ ალუბალი საპატარძლოდ გამოწყობილა
და ყველა მხრიდან მოჩანს მისი ქათქათა კაბა.

მთიელი გოგო კოკით მხარზე ჩარბის სერებზე,
მის მოლოდინში ხევში წყარო ელურტულს არ იშლის.
მთის იქით მორცხვად აწოწილა ფეხის წვერებზე
და ცალი თვალით უთვალთვალებს მზე იმ ქალიშვილს.

* * *

არ ირხევა ფოთოლიც
ამ შუადღის ჟამს,
ხეობათა ნესტიან
ფსკერზე სძინავს ქარს.

შაშვიც სდუმს და ბულბულიც,
ოკლემს ძდელო და ტყე.
აბა მაშ რამ შეაკრთო
სი-
    ჩუ-
        მე?

## რუსთაველის სურათთან თქმული

ჯიუტად ბრუნავს დავიწყების მძიმე დოლაბი,
ჰფქვავს კაცთა ხსოვნას· დალპა რკინა, გაცვდა ფოლადი.
ოდესღაც დიდი წაიშალა სახელი ბევრი
და, თუმცა უკვე საუკუნე დაიწყო მეცხრე,
მისი სახელი ისევ ელავს უკვდავი ელვით,
მისი პოემა გულებს ათბობს უქრობი ცეცხლით.

წაშლილა კვალი უმძლავრესთა მეფეთ-მეფეთა,
ვისაც ხელხლება თვით სიკვდილმაც კრძალვით შებედა·
მტვერს დაუფარავს მათი სახე და ჟანგს — სახელი,
ჩაჰბნელებიათ უკვდავების ცა უკუნეთად,
ის კი, ესოდენ დიდებული, ასე მაღალი,
ამაყად ასდევს ციცაბოებს საუკუნეთა.

ის ყველა ხალხის ყველა ქვეყნის არის პოეტი,
იგი, სიმართლის და სინათლის მსარდამხარ მდგარი,
კაცთა უმაღლეს ღირსებისთვის იბრძვის ყოველივის,
ძმობას, სიყვარულს უმღერს მისი დიადი ქნარი —

შუქის სათავე, სიბრძნის წყარო დაუშრობელი —
ქვეყნად ყველასთვის გასაგები და ახლობელი.

არ ავიწყდება პოეტს ნემი პატარა სალხიც,
ის მასთან იყო, მასთან არის მუდამ და ყველგან,
მაშინაც, როცა მწუხარების ემოსა თალხი,
მაშინაც, როცა სიხარულის დარები ედგა.
გულბედნიერი მთიელები გვირგვინს უწნავენ
ძვირფას მეგობარს, მუდამ ცოცხალ შოთა რუსთაველს.

ჯიუტად ბრუნავს დავიწყების მძიმე დოლაბი,
ჰფქვავს კაცთა ხსოვნას. დალპა რკინა, გაცვდა ფოლადი,
ოდესღაც დიდი წაიშალა სახელი ბევრი
და, თუმცა უკვე საუკუნე დაიწყო მეცხრე,
მისი სახელი ისევ ელავს უკვდავი ელვით,
მისი პოემა გულებს ათბობს უქრობი ცეცხლით.

## ძველი სასაფლაო

გადასასხასდა გარეუბნები სოფლის,
გაზაფხულის მზემ დაძრა სიმწვანის ტალღები.
გრძელ ზამთრის შემდეგ
ჯოხის ცხენით და ჩოგნით
მზის სიფიცხეზე გამოფენილან ბალღები.

აქ კი, საფლავია, უკვე წაშლილთა, შორის
მოდის
(ჰაი, რომ იგი ყოველთვის ჩქარობდა...)
გადავიწყება —
ეს ერთადერთი სსოვნა —
მათი, ოდესღაც, ვინცა სწუხდა და ხარობდა.

* * *

ფანჯრებს გავაღებ, სახლში ცა რომ შემოვახედო,
ვარსკვლავებს ვუთხრა, მოდით ჩემი კერა ნახეთო,
სხივმოელვარე დილის თბილ მზეს გავუშლი სუფრას,
შინ შემოვიყვან პურის სურნელს, კოსმოსის სუნთქვას.

ჩემთვის უცხოა მოსვენება· წინ ვივლი მუდამ,
დღეები ჩემი მინდორივით გადავხნა უნდა.
რათა გაუსწროს დრომ კალენდარს, ამაღლდეს სული
და ბედი ჩემი ემორჩილოს ჩემს ნება-სურვილს.

რომ ფრთადაუღლელ, თვალდაუღლელ არწივად ვიქცე,
დაულასავი, მიუწვდომი დავლახო სივრცე,
რომ სიმღერები, როგორც პური, დავთესო ყველგან,
სულის საკვებად, დილის სიოდ, საღამოს დელგმად.

გზას დავადგები.
დაე, ჰქროდეს მრისხანე ქარი.
გზას დავადგები.
ფართოდ გავხსნა მომავლის კარი!

* * *

თქვენ მეკითხებით, რატომ მაქვს
თვალები ასე ცისფერი...
ჩვენს სახლს პატარა მდინარე
ჩაუდიოდა სიმღერით.
შემცქერდა, შემომღიმოდა
თვისი ტალღებით ცისფერით
და გადაედო ჩემს თვალებს
მისი სიცისფრე სსივმფენი.

* * *

მთის ვიწროებში მორბის არღუნი,
მარტო მდგარ ციხე-კოშკს ჩაუქროლებს, —
მშობელი მთები, ტანდაძარღვული
გულში მინთებენ ხსოვნას უქრობელს.

ეს ციხე-კოშკი დარაჯად უდგას
წარსულს, თაღმაღალ ძეგლებით მდიდარს...
ო, დროის ყოვლისმძლეველო სუნთქვავ,
ნუ დაცალეწავ, ვამაყობთ რითაც.

დე, კავკასიას ნაგრიგალევი
ეს სახე შერჩეს, ასე რომ შვენის,
გამოქვაბულთა ღია თვალებით
შემოგვყურებდეს წარსული ჩვენი.

ახსოვთ ხმლის ელვა, მომხვდურთან ბრძოლა
ამ ბნელ ხეობას, მწვერვალს თუ ბექობს.
ცხენთა ფეხის ხმამ ჩამოიქროლა —
გადმოჰქუსს წარსულ დღეების ექო.

შეხე — აქ არის გმირობა ქველი,
დროთა აღმართს რომ ამოათავებს,
შეხე — აქედან იწყება შენი
მშობელი ხალხის ბედის სათავე.

* * *

მე სიფრიფანა ყინული ვარ, ვითარცა ბროლი
ძალმიძს დავიმსხვრე, დასამსხვრევად თუკი გამწირავ,
მაგრამ მე ძალმიძს უნაზესი სუნთქვისგან თრთოლვით
დავდნე და მყისვე ვიქცე შენი სულის ნაწილად.

ჰოდა, გამათბე, საყვარელო, გამათბე ჩქარა
გულის სითბოთი, თვალთა შუქით, რომლითაც დამჭერ,
გამადნე ჩქარა, სიყვარულის დამქროლე ქარად,
მე აღარ მინდა ყინულად დავრჩე!

• • •

შემოდგომაა, ცამ წვიმა ასვა
და ტყეს აღარ ჰკლავს მწველი წყურვილი.
მხარზე ნეკერჩხლის ფოთოლი ნაბად
მეხება შენი ხელის გულივით.

ფრთაანცი ქარი იღვიძებს აგერ,
სულიერივით ჩემს გულში ტოკავს, —
მგონია შენი შემეხო ბაგე
და ამილანძა ორივე ლოყა.

უცებ ტყის ჭერი სხივმა გაკვეთა
და ჩაიძირა ამ ღრმა თვალებში
და მომეჩვენა ამ ჩემს თვალებში
შენ ჩაიხედე მწველი ალერსით.

დაღამდა. სძინავს სოფელს ღამეში,
დადუმებულა ირგვლივ ყოველი,
მაგრამ კარს იქით თითქოს ჩამესმის
ფეხის ხმა და შენს მოსვლას მოველი.

## ოღონდაც მიხმე...

აულმა მხრებზე წამოისხა ნაბადი ღამის,
მძინარე მთები ჩანან ჩემი სარკმელის მიღმა.
რა სიჩუმეა... ნაკადულის არ ისმის ჩქამიც.
შენ გელოდები. ოღონდაც მიხმე.

ნიშანი მოეც, გადმოვივლი უღელტეხილებს,
გადავევლები ვარსკვლავივით ხეობის სიღრმეს.
თუნდ წინ აღმიდგეს ქარიშხალი ზეცას შეხლილი,
იმასაც დავძლევ. ოღონდაც მიხმე.

დე, ქარი ჰყეფდეს, ცამ საავდროდ წარბები შეჰკრას,
ყველაფერს დავძლევ, სადაც შენ ხარ, გავჩნდები იქ მე.
გჯეროდეს,
მელოდე.
შენ უბრალოდ იყავი ქვეყნად
და მე მოგივალ. ოღონდაც მიხმე!

## მოვდივარ შენთან

მე მთის ბილიკით მოვდივარ შენთან
და ხელისგულზე მიზის ვარსკვლავი,
რომ ვარსკვლავივით ყოველთვის გენთო
და გავანათო შენი გზა-კვალი.

მზედ აგენთები, თუ დაგკრა ყინვამ,
რომ გაზაფხულის მოსვლა გახარო,
და თუ დაღონდი, ვიქცევი დილად,
რომ წუხილს, როგორც ღამეს, გაგყარო.

თუკი ავდარმა მოგისწრო გზაში
და ნიაღვრები მოგყვნენ ბღავილით,
მე ცისარტყელად ვიქცევი მაშინ
და შენ მის ლამაზ თაღქვეშ გაივლი.

თუ მოგწყურდება, ავნესსწყსდები
შენს სავალ გზებზე ანკარა წყაროდ,
შენ თუ რამ გტკივა, შენ თუ სწუხდები,
თუნდაც წამითაც რამ დამაწყნაროს.

ვავიყოვ შენს ბედს, შენს გზას და ბილიკს,
შენს ყველა ტკივილს მივიტან გულთან;
მოვდიეარ ძალავრი კაშკაში დილის
და სიყვარულის ძლიერი სუნთქვა.

* * *

წყაროს წყალში შევნიშნე მე ვარსკვლავი ღამისა,
მოვასწარი, მუჭაში ავიყვანე უმალვე,
მაგრამ უცებ ის წყალი თითებშუა გამექცა
და ხელიდან გამისხლტა მშვენიერი სტუმარი.

წავიდნენ და წავიდნენ წლები წყაროს წყალივით...
ცხოვრებაში მე ერთხელ შემხვდა ბედნიერება,
მაგრამ ისე გამისხლტა, ვით ხელიდან ვარსკვლავი
და იმ ვარსკვლავს ოცნება შორითლა ეფერება.

მე ყველაფერი შემიძლია;
დავფარო წყენა,
დავმალო დარდი, შეგციცინო ნაზად და წყნარად,
მწვავე ტკივილი ცრემლს ვერ მომგვრის, ვიცი მოთმენა
და შენ არაფერს არა გთხოვ, არა.

მე შემიძლია:
შევიმშრალო ცრემლი და როგორც
უზრუნველ გოგომ ვიკისკისო გაუთავებლად,
არც სული ვზოგო, არც გული ვზოგო,
ვიქცე სიცოცხლედ და უკვდავებად.

ძალმიძს მიყვარდეს, ვით პირველი გაზაფხულის ჟამს,
თუმცა ეზოში შემოვიდა უკვე ზამთარი,
ვიქცე ტყის შოთხვად, განთიადის ჟამს
რომ აფეთქდება პირველ სხივთა ღვინით დამთვრალი.

მე ყველაფერი შემიძლია:
გავშალო ფრთები,
დავლასო ღრუბლის ქარავნები, ცად რომ იძვრიან,
მაგრამ არ მთხოვო — დავტოვო მთები,
მშობელი მთების დავიწყება არ შემიძლია.

## სალამო გაგრაში

ზღვა ღრმად სუნთქავს ვით კამეჩი,
დაღლილ ტალღით ლოკავს ნაპირს,
ჩამავალ მზის სხივთა ქსელში
ტოკავს ქაფი.

ღრუბლის თავშალს მოიხურავს
მზე ვით მორცხვი პატარძალი,
ზღვა მეწამულ ზეცის სურათს
გადიხატავს მკერდზე კრძალვით.

აჩხარუნებს კენჭს თუ სადაფს,
ზღვას ყოველთვის ღვიძავს თურმე,
და იქ, ცის ბროლს ერთვის სადაც,
მზე მის ლურჯ მკერდს ისასთუმლებს.

უგრძელდებათ პალმებს ჩრდილი,
ჩრდილს სიმკვრივე ემატება,
ზღვა დაღლილი კამეჩივით
სუნთქავს, ძილი ენატრება.

## ძეგლი მთის სოფელში

ისევ ანთია ცაზე ცისკარი,
მზე კვლავ დაჰხარის მშობელ მთა-გორებს.
...ის მთებში დგას და ყოველ ცისმარე
ომის მრისხანე დღეებს მაგონებს.

ჩამეღრუბლება თვალთა უპენი,
მესმის იმ დღეთა ექო მზარავი.
...ის ამბობს: „მიტომ დავიღუპენით,
რომ აღარ მოკვდეს ომში არავინ.

არ იყოს გზები დაღრუბლულები,
გადახნულები ტყვიით ზეგნები,
და ახალ ომში დაღუპულების
არ ამომიდგნენ გვერდში ძეგლები.

მე ქვად ქცეული ჯარისკაცი ვარ,
მხურვალე გული ჩემს მკერდშიც ძგერდა...
კმარა! — რამდენი გული გაცივდა
ცხელი ლითონის ნაგლეჯთან ერთად".

დგას მთის სოფელში ძეგლი მაღალი
ომში დაცემულ გმირთ სადიდებლად,
გვაქვს დასაფიცად მათი სახელი,
უკვდავება რომ მოჰყვებათ მხლებლად.

## გაზაფხული

პირველ მერცხალს მოვკარ თვალი,
ხმაც ჩამესმა შოშიების,
შეუტოკდა ფართო მხარი
მინდორს სითბომოშიებულს.

გაიღვიძა დედამიწამ,
ზევით ტყემ და ქვევით ჭალამ,
ბელურაც კი ველარ ვიცან,
ეგრერიგად შეიცვალა.

სხივჩაღვრილი ეზო გველის,
შინ ჯდომის დრო სადა გვაქვსო, —
გამოცვივდნენ მეზობელი
გოგონები სათამაშოდ.

ასფალტს მკერდი დაუხაზეს,
გააჩაღეს კლასობანა;
ცრემლი მოსდით გასხლულ ვაზებს,
ზამთრის სუსხი ახსოვთ განა.

მზე იცინის, წყარო მღერის,
უმუქდებათ წიწვი ფიჭვებს,
ჩვენს მიწაზე ბედნიერი
გაზაფხული მოაბიჯებს.

## უკვდავება

სიკვდილი მოვა, გადიჭრება გზა მიწიერი
და მარადიულ უკუნეთში მკვიდრდება მკვდარი.
ბორცვი, გვირგვინი, ლოდი, ძეგლი ნებისმიერი —
ეს რჩება მხოლოდ. იყო კაცი და აღარ არის.

ასე იტყვიან. მაგრამ საფლავს ჯარისკაცისას
შუქად ადგება მუხის მძიმე ფოთლების ჩრდილი,
გამოსათხოვარ სალუტის ხმა სივრცეს ნაცრისფერს
მჭახედ შეარხევს. ასე მიდის ამ ქვეყნით გმირი.

არა, ეს როდი ნიშნავს სიკვდილს. სიცოცხლე თვისი
ქვეყნად ათასი სიცოცხლისთვის გასწირა გმირმა,
იმისთვის ჩაწვა სარეცელში მშობელი მიწის,
რომ მიწას აღარ ჩაესმოდეს ტანჯულთა გმინვა.

საფლავის თავთან თავდახრილი დგება მამული,
მისი სახელი, მისი ხსოვნა ცად რომ აზიდოს,
კვლავ გაცოცხლდება მხედრის გული ტყვიადაკრული
და ხალხის გულში აძგერდება სამარადისოდ.

## სურვილი

ვიცი:
დრო მოვა, მეც მომიხტება
სიკვდილი, როგორც მგელი მშიერი,
ჩემგნითაც ოდნავ აიბორცვება
მიწა გრილი და მკერდგანიერი.
მჯერა:
ტკბილ სიტყვით მომიგონებენ
მეგობრები და მოყვასნი ჩემნი,
მოვა ცოლ-შვილი ყვავილთ კონებით
და მწვანე საფლავს მორწყავენ ცრემლით.
არ მეშინია:
დინჯად და მშვიდად
შევხვდები ჩემი აღსასრულის ჟამს,
არც სამოთხე მწამს, არც ჯოჯოხეთი,
არც ცად ავლენა კაცის სულისა.
მინდა:
ვეძიო, ვიშრომო, შევქმნა,
მამულს ვუხარო გული მოწყალე,
რომ მე სიკვდილის შემდეგაც ქვეყნად
ვიხსენებოდე როგორც ცოცხალი.
მინდა:
საფლავს რომ ჩაუვლის მგზავრი,
წამით შეჩერდეს, წარმოსთქვას წყნარად:
„აქ წევს პოეტი და მეომარი
მან ხალხს შესწირა გული და ძალა“.

## არწივი

მზესთან ბოინობ მხნედ, ამაყურად,
დაგილაშქრია ცათა თავანი,
დაბლა მიწაა. მაღლით დაჰყურებ
ქედმაღალი და ამპარტავანი.

გულზვიადურად ნუ დასცქერ აგრე,
ეგ სიამაყე ნუ გაგიტაცებს,
არ დაგავიწყდეს: გვიან თუ ადრე
უნდა დაფრინდე დედამიწაზე.

* * *

თუ მოწყენილი და სიტყვაძვირი
შეგხვდი,
იყუჩე,
ნუ გეწყინება,
მიზეზს ნუ ეძებ,
ნურც წარსულს მიჩხრეკ

და ნურც დღევანდელ დღეთა დინებას.
შენ გაიხსენე:
შუადღის ჟამზე
ლამის ნიავსაც მიეძინება,
მდინარე,
ველზე რომ გაივაკებს,
მდოვრდება, ძლივსღა მიედინება.

* * *

თუ უნაგირზე
არ ზიხარ კარგად,
თუ ვერ მოირგებ
უზანგსაც კარგად,
დროსა და უნარს ამაოდ ჰკარგავ.
ამოგეთრევა
აღვირი მტვერში,
მჩვარად გექცევა
მათრახი ხელში,
მალე უკანვე გამობრუნდები. —
ნუ, ნუ დაჯდები ქურანა ცხენზე!

და თუ გულს ადევს ხავსის ხუნდები,
თუ სიტყვას,
როგორც მიმინოს ცერზე,
ვერ შემოისვამ,
არ გიჭრის თვალი,

კაცის გულისთქმა
თუ ცუდად გესმის,
ღმერთმა გაცოცხლოს წელი მრავალი,
მაგრამ არ სცადო დაწერა ლექსის!

## კაცის ენა

როცა კაცთათვის სიავეს და სიცრუეს სთესავ,
ხარ რაოდენად საზიზღარი, ენავ კაცისა!
თუ კი შურით და სიძულვილით გვიბნელებ მზესაც,
ჩვენთვის მარტოდენ ღვარძლი მოგაქვს,
ხვალაც და დღესაც, —
იყავ წყეული, უნამუსო ენავ კაცისა!
როცა შენ ჩვენთვის სიკეთე და სიმართლე მოგაქვს,
რა მდიდარი ხარ, მშვენიერო ენავ კაცისა!
ალალმართალი გულის შუქით გვინათებ გრძნობას
ცამდე გვიმაღლებ მეგობრობას,
სიყვარულს,
ძმობას,
ჰოი, სიცოცხლის სიხარულო, ენავ კაცისა!

## მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

გზა არის მოკლეც,
გზა არის გრძელიც,
გზა არის ჩქარიც,
გზა არის ნელიც.

ნუ უკრთი ძნელ გზას,
ნურც დაახანებ
და ნურც იოლი
გზა გაგასარებს.
არსად არ შედგე,
ადამიანო,
გზა მისთვის არის,
რომ გაიარო.

●

გიყვარდეს! გწამდეს!
თორემ ეგ სული
მუხის გამხმარ კუნძს დაემსგავსება,
გიყვარდეს, გწამდეს!
თუ გინდა სრული
სინედლითა და შუქით ავსება.
მზე ხომ აღვიძებს ნაზამთრალ კორდებს,
დასძრავს საოცარ ფერების ზვირთებს,
სულიც,
როგორც ხე,
თვლემს თავის დრომდე
და უცებ მწვანედ დაიყრის კვირტებს.
მუდამ გიყვარდეს!
ამაღლდი ცამდე,

სულში სულ შუქი მოჩანჩქერობდეს.
გიყვარდეს, გწამდეს!
გიყვარდეს, გწამდეს
და სიყვარულის, ვით მზის, გჯეროდეს!

●

სხვათა კარებზე არ დარეკო უსაქმოდ ზარი,
მაგრამ ყოველთვის ღია გქონდეს შენ შენი კარი.

●

— მზის ჩასვლამდე
გაგყვება სილამაზე,
პატიოსნება არასოდეს გახუნდება! —
ქალიშვილებს ეტყოდა დედა ასე,
ისეთი ხმით,
მუდამ რომ გაგონდება.

ვაჟიშვილებს ასწავლიდა მამა ასე:
(და იმის სიტყვებში
მზის უქრობი სხივი ერია)
— ბიჭებო, შრომაშია სილამაზე,
ცხოვრება ძნელია,
მაგრამ იგი მშვენიერია!

## თვალები

ვნახე თვალები სხვადასხვაგვარი:
თვალები —
        დილის კამკამა ცვარი,
თვალები —
        ზეცა შუქმომფინარი,
თვალები —
        სილრმე ცისფერ მდინარის.
მესხთა ტეხვა თუ ჩანგის წკრიალი —
ქალთა თვალები ნაპერწკლიანი.
ამ ლამაზ თვალებს,
        ამ ძვირფას თვალებს,
დედის,
        დის,
            სატრფოს
                მშვენიერ თვალებს
ყორნის ფრთის ჩრდილი აშორე, ღმერთო!
მათი თვალების შუქზე ვეშვრეტდეთ
                მშობლიურ მსარეს,
ეს შუქი ქვეყნად მზესავით ენთოს.
მათ ხომ მშვიდობა და სიცოცხლე
                სწყურიათ მუდამ,
ქალთა თვალებში
გაზაფხული ჰყვაოოის უნდა!

მოდი, შთაგონებავ, მოდი,
შემოქროლდი ქარივ:ითა,
როგორც საცეკვაო წრეში
ცეცხლოვანი მოჯირითე,
ჩემი გული ფრთაშესხმული,
მოლოდინით გაირინდა,
შენს ლოდინში უცხო ჟრჟოლვა
უვლის ხელის მორჩილ თითებს.
მოდი,
შემოდგომის ღრუბლებს
ჯერ ზეცა რა დაუფარავთ,
ეს-ეს არის ჩემი სული
შუადღის მზით განებანა,
ჩემი მტრედი
დარიალის
ვიწროებში კვლავ ღუღუნებს,
ხსოვნას ისევ შერჩენია
სიყმაწვილის ზმანებანი.
მოდი, გელი, შთაგონებავ,
შემომიღე გულის კარი,
ამინთე და მომაგებე
ცისარტყელა შვიდი ფერით,
რომ ყველაფერს ჭვრეტდეს თვალი,
სიტყვა მქონდეს უტყუარი.
როგორც დედა თავის ჩვილთან,
შთაგონებავ, მოდი, გელი!

## 1921 წლის 21 სექტემბერი

ცივრალი ქარი დაბერენს ტყეებს,
ცას ჩამოსევს ღრუბლის მრუმე ფარდას,
ყვითელ ფოთლებს აცლის ხეებს
და მიწაზე ბფენს ოქროსფერ ფარდაგს.

შემოდგომა მოდის, ვხედავ
მიწამ როგორ შეიცვალა ფერი,
მოდის, მოაქვს წარსულ დღეთა
გახსენება და ტკივილი მწველი.

მაღალ ხეთა წვეროები
ღრუბლებში თუ ცისფერ ნისლში ცურავს,
მიფრინავენ წეროები,
მიაპობენ სივრცეს მამაცურად.

მაშინაც ხომ მშობელ მთებზე
ენთო ელვა შემოდგომის ფერთა,
შემისვამდა მამა მხრებზე
და მიდამოს გავყურებდით ერთად.

და მეტყოდა დაფიქრებით,
ის სიტყვები ასლაც მაგონდება,
— თუ მიფრენენ წეროები,
იცოდე, რომ შემოდგომა დგება.

წეროების გზაზე ვსახლობთ, —
იტყოდა და იცინოდა გულით,
გადაჰქროდა ველს თუ მაღლობს
ის სიცილი მხნე და მხიარული.

მაგრამ ცრემლის ცხელი ნისლით
ევსებოდა თვალთა უძირო ცა,
ქვეყნის თავისუფლებისთვის
დაღუპულ ძმებს იგონებდა როცა.

— ჩვენ სამშობლოს მძიმე ბრძოლით
გავუთენეთ ეს ნანატრი დილა,
ნუ დავკარგავთ იმათ ხსოვნას,
იმ ბრძოლებში ვინც დაეცა, შვილო.

შვილო, ქვეყნის სიყვარული
სიცოცხლის გზას გინათებდეს მუდამ,
არ ისვენებს მტერი კრული,
მას კვლავ ჩვენი დამონება უნდა.

და ვიხსენებ სიზმარივით
შორს დარჩენილ იმ შორეულ დღეებს,
ქვემეხთ ქუხილს, ტყვიის წივილს,
ალმოდებულ ჭიუხებს და ტყეებს.

ტყეში გასულ პარტიზანებს,
ჩვენი ხალხის მამაც წითელ მხედრებს,
მტრის ძლევის რომ რეკდნენ ზარებს
და შავ დილას უთენებდნენ თეთრებს.

და ერთ დღესაც ჩვენს ჭიშკართან
ჩაიარა პარტიზანთა რაზმმა,
მამაჩემიც იმათ გაჰყვა,
შავრა ცხენი დედამ შეუკაზმა.

ააბოლა ბინდმა ხრამი,
მთის წვერებზეც იწყო შუქთან შებმა
და წყვდიადის მოსასხამი
ნაბადივით მოიხურეს მთებმა.

გამეღვიძა შუაღამით
და მაშინვე მამა მოვიკითხე,
— რაზმში არი, ბრძოლაშია მამა, —
აცრემლებულს დაყვავებით მითხრეს.

ქარს მოჰქონდა ბრძოლის ხმები
და თვალს ვეღარ გავაკარე ძილი.
— ბრძოლის ველზე მოჰკლეს მტრებმა!
ხმა გავარდა ჩვენს აულში დილით.

აულს ახლოს პარტიზანთა
რაზმი თურმე მტრის ალყაში მოხვდა,

მამა კედლად აღიმართა
და ვაჟკაცი ვაჟკაცურად მოკვდა.

ის ბრძოლაში ჰკავდა არწივს, —
მასზე მისმა მეგობრებმა მითხრეს.
ის დღე ისევ მიდგას თვალწინ,
ვერასოდეს დავივიწყებ იმ დღეს.

და კვლავ ქარი დაჰფრენს ტყეებს,
ცას ჩამოხევს ღრუბლის მრუმე ფარდას,
ყვითელ ფოთლებს აცლის ხეებს
და მიწაზე ჰფენს ოქროსფერ ფარდაგს.

შემოდგომა მოდის, ვხედავ
მიწამ როგორ შეიცვალა ფერი.
მოდის, მოაქვს წარსულ დღეთა
გახსენება და ტკივილი მწველი.

## ს ა ღ ა მ ო

მარად მქუხარე თერგი
მწვანე ჭალებში შერბის.

ნისლად ედება ქაფი
თერგის ციცაბო ნაპირს.

კვნესის ჭალაში გვრიტი,
ქორი ცას ელტვის რიდით.

მზის უკანასკნელ სხივით
იწვის ღრუბელთა მწკრივი.

მოდის ქალწული წყალზე,
კოკა შეუდგამს მსარზე.

გზად, როგორც ჭიგოს ვაზი,
მის ჩრდილს აეკრა ვაჟი.

თერგის პირს დიდხანს ივლის
შეყვარებული წყვილი.

გზას გაიგნებდნენ მთვარის
და ვარსკვლავების კვარით.

უკვე ჩამუქდნენ მთები,
ღამემ გაშალა ფრთები.

* * *

მუდამ გვათბობენ ჩვენ ხელები მშობელი დედის,
სატრფოს ღიმილი გულში უქრობ სინათლედ შედის,
კერიის სითბო ძალას გვმატებს და გვასულდგმულებს.

მაგრამ ვერასდროს ვერ გავითბობთ ამქვეყნად გულებს
და ვერც ვიცოცხლებთ, ჩაგვიქრება შუქი ციური,
თუ მოგვაკლდება სითბო მიწის, ტკბილმშობლიურის.

* * *

შენ მაჩუქე ბავშვობა განუმეორებელი,
აკვნიდანვე მასმენდი შენს მგზნებარე სიმღერებს,
შენი მთები, ტყეები, ციხეები ბებერი
ჩემში ზრდიდნენ ვაჟკაცურ სიამაყეს, სიმხნევეს.

და მე, მოსიყვარულე შვილი, გეტყვი სამშობლოს:
მინდა ისე გავლიო გზები ჩემი კუთვნილი,

სიკვდილის წინ არ შემრცხვეს ყოვლისმსედველ ამ სოფლის
და შენ არ ამარიდო შენი მზერა გულიბილი.

დე, შენს მტრებსან ბრძოლაში სამუდამოდ ჩავთვლიმო,
ოღონდაც აგაცდინო მათი დარტყმა მშაკვრული,
ასეთ სიკვდილს, მამულო, უკვდავებად ჩავთვლი მე
და ღიმილით მოვკვდები გულში ლახვარდაკრული.

„სამშობლოსთვის მიცემულ ფიცის დარჩა ერთგული!" —
მუდამ მომიგონებდეს ხალხი სიტყვით გულთბილით,
ჩაიფერფლოს სამშობლოს სიყვარულში ეს გული,
მინდა ისე გავლიო გზები ჩემი კუთვნილი.

## სიმღერა საქართველოზე

დიდი ხნის წინათ მეტყოდა დედა,
თითქოს კვლავ მესმის მისი ხმა წყნარი:
შვილო, გახსოვდეს, — ამ მთებს ხომ ხედავ,
მთებს იქით ერთი ქვეყანა არის.
უხმობენ მზის და სიმწვანის მხარეს
შვენის ბაღები და ვენახები,
იქით ღიმილით იყურებიან
გაუღიმარი ვაინახებიც.
იქ ყველას ღია გულით ხვდებიან
გულგასსნილები, შუბლგახსნილები,
მათი ძვირფასი ძმები ხდებიან
სტუმრები — სხვათა ქვეყნის შვილები.

თუმც სხვა რჯული აქვთ, სხვა სალოცავი,
ქართველნი ძმები არიან ჩვენი,
აქვთ გულის სითბო გასაოცარი,
აუწონავი სიკეთე შვენით.
...კი არ ამბობდა, მღეროდა დედა,
ყრმა მეოცნებე ვუსმენდი ღელვით,
დღეს ამ სიმღერას ხორცშესხმულს ვხედავ
და საქართველოს დიდებას ვმღერი.

## გაზაფხულის ღამე

გესმით? რა უცხო ხმებია, მსმენელნი მისით ტკბებიან,
გესმით? მდინარის გაღმიდან ქარს მოაქვს ზღაპრის
ფრთებიანს
ფოთლები, როგორც მერცხლები მწვანე რტოებზე სხდებიან.

გესმით? ტოტებზე სხდებიან ჩიტები საკვირველები,
მთვარით ავსებულ სივრცეში თრთის და იღვრება ტრელები
და რულადების რეკვაზე სმენად ქცეულან ველები.

გული გაფრენას ესწრაფვის, ოცნებას ფრთები ესხმება,
თვითონ ლისტსა და პაგანინს შეშურდებოდათ ეს ხმები
ბულბულების და კვირტების, ფოთლებისა და მერცხლების.

ღამე ივსება იმედით, წყურვილით, მოლოდინითა,
იმ სიყვარულის სხივითა, გულთან რომ ცეცხლად მივიტან.
სად მიცდის ის სიხარული? სად შემეყარა დილითა?

* * *

როცა ძაან დავიღლები;
მდინარესთან მისვლა მინდა,
რომ მის ჩქერში ჩავყო ხელი,
შევიმსეფო წყალი წმინდა.

მივეახლო ბებერ ალვას
და მის შრიალს მოვუსმინო,
რომ დავიცხრო გულში გვალვა,
ამოვიდო თავქვეშ გრილო.

მთის ნიავი მოვისხურო,
მოვიცხუნო სატრფოს თვალი,
გული, დარდით მონისლული,
გამიშუქდეს მზით და დარით.

* * *

მე მკვდარ მიწაზე მივდიოდი,
ვიყინებოდი,
დაღლილი დაბლა ვეცემოდი
და კვლავ ვდგებოდი.
წყვდიადს ვარღვევდი,
ქარიშხლიან გზას მივყვებოდი
და ოცნებაში
ამომავალ
ვარსკვლავს ვხვდებოდი.

რომ არ გამევლო ასეთი გზა —
მძიმე და რთული,
რომ არ მცოდნოდა
დაცემაც და
ფეხზე დადგომაც,
ვერ ვიმღერებდი
პატიოსან სიმღერას გულით,
მართალ სიმღერას,
მკითხველი რომ ეტყვის მადლობას.

## გ ზ ე ბ ი

ადამიანებს აკავშირებს ერთურთთან გზები,
სიკეთეც დადის ამა გზებზე და ბოროტებაც,
იებსაც ვხვდებით ამ გზებზე და ეკლებსაც ვხვდებით
და გზები იგი არ ბოლოვდება.

დე, მოსვენება არა ჰქონდეს ბილიკს თუ შარას,
უბედურებას ნიშნავს გზები უკაცრიელი,
გზებზე ხმაური მიმავალთა ისმოდეს მარად,
რეკდეს სიკეთის ნაბიჯების ხმები ძლიერი.

* * *

ნუ სწუხხარ, ჩემო მეგობარო, ჩვენ ვართ მდიდრები,
თუმც მდიდრები ვართ, მაგრამ მაინც ძუნწები არ ვართ.

სიმდიდრე განა ოქროთ სავსე არის სკივრები,
თვალისმომჭრელი მარგალიტი, ლალი თუ ქარვა.

და არც სარდაფში მიმალული მტვრიანი ფული
და არც სასასლე, ყველა გამვლელს თვალს რომ სჭრის უმალ,
სიმდიდრე არის პური, ძმას რომ გაუყოფ გულით
და ჭიქა ღვინო, გულმართლად რომ მიაწვდი სტუმარს.

* * *

თუ სიტყვას მისცემ,
შეასრულო
კიდევაც
უნდა,
თორემ ის სიტყვა
მტრად გექცევა —
გახსოვდეს მუდამ.

* * *

იფიქრე, სანამ შეუდგები საქმეს რაიმეს,
ასჯერ გაზომე და აწონე, გადასჭრი ვიდრე.
ცუდია, როცა დაამთავრებ საქმეს რაიმეს
და იმის მერე მიეცემი განსჯას და ფიქრებს.

## გრძელი გზა

ციხეთა
        გისოსების კვადრატები
ლურჯ ზეცას
                აქცევდნენ
                        ნაფლეთებად;
ჩაგვესმოდა
        ლენინის
                ხმა ნათელი:
— ამხანაგებო,
                გათენდება!

ლენინი
        სარდლობდა ხალხთა ბრძოლას,
ღამეს
        ბრძოლის ცეცხლში ანაცრებდა,
გრძნობდა
        გაზაფხულის ქართა ქროლას,
სჭვრეტდა
        კომუნის
                გამარჯვებას.

აღსრულდა!
        გაგვითენდა განთიადი —
ოქტომბრის დიდებული გაზაფხული.
ავმაღლდით,
        გავძლიერდით,
                გავდიადდით
ლენინის
        დროშების ქვეშ დარაზმულნი.

• • •

მოსაღამოვდა. ცის თაღზე უმალ
გაკრთა ვარსკვლავი. ყუჩობს ბუნება.
შენსავით ნაზად, შენსავით ჩუმად
ვარსკვლავი ყურში მეჩურჩულება.

მესმის, ჩემს ახლოს ჟღერს მელოდია
და უდარდელი სიცილი მესმის.
ჩემი გული კი შენ გელოდება,
იწვის, ოცნებობს, დარდობს და კვნესის.

საღამოობით ხომ მღერის ხალხი,
ხარობს, იცინის გულბედნიერი,
ჩემს გულს კი, მძიმე ლოდინით დაღლილს,
სდაგავს წუხილის ცეცხლი ძლიერი.

როდის ექნება ჩემს ლოდინს ბოლო,
როდემდე მეწყოს გულზე ლოდები?..
დავალ, დაგეძებ, შენ გიხმობ მხოლოდ,
მე შენ გეძახი, შენ გელოდები...

## მსხლის ტოტი

ამაყად იდგა
ნაყოფსავსე ძირმსხვილი მსხალი.
მქუხარე ზეცამ
ერთ დღეს სტყორცნა მძვინვარე ალი.
კენწრით ფესვამდე დაეხანძრა
ხეს მთელი ტანი
და გახმა მსხალი,
ღრმად დაეჭდო სიკვდილის ბრჭყალი.

იმ ჯოჯოხეთურ მხურვალებას
გადურჩა ტოტი,
მძიმე ნაყოფი რომ ეკიდა,
ვით ვერცხლის ზოდი.
ვერ მისწვდა ნაყოფს
მუხანათი სიკვდილის გესლი
და მსუყე მიწის ქვეშ მოექცა
ჯანსაღი თესლი.

და გაზაფხულზე,
როს ამწვანდა ჭალა და კორდი,
ლამის სირბილით ამოვარდა
მიწიდან ყლორტი.

და წლიდან წლამდე იზრდებოდა
ახალი მსხლის ხე,
ტანს იმკვრივებდა,
იმატებდა სიმაღლეს, სისქეს.

იქ, სადაც იდგა,
უკვე ფერფლად ქცეული მსხალი,
დღეს მისი მოდგმის ახოვნებით
გვიტკბება თვალი.
ვაშა სიცოცხლეს! —
ის უკვალოდ არასდროს ქრება,
სიცოცხლეს — მარადს და მშვენიერს —
ქებათაქება!

## ფიქრები მამაზე

გამახსენდება ბავშვობის წლები —
მამის ხელები დაკოჟრილები,
მძიმე შრომისგან წახრილი მხრები,
ძუნწად მოღიმარ თვალთა ჭრილები.

ის ჩემს აკვანთან მდუმარედ იდგა,
ბედნიერ მერმისს სჭვრეტდა ოცნებით,
ჩემს მომავალზე ფიქრობდა დიდხანს
შვილი შრომის და პატიოსნების.

ვით ტალღას ტალღა, წელს მიჰყვა წელი
და აი ერთ დღეს ომში წავიდა,
ის, ვინც მავსებდა მომავლის რწმენით
და ხალხის ბედზე ფიქრს მასწავლიდა.

და მე ვფიქრობდი — მშრომელ და ღარიბ
ხალხს ვით ეხარნა თავისუფლებით,
ოცნებით შევხსენ ცის მეცხრე კარი
და მიმოვფანტე შავი ღრუბლები.

მაგრამ კვდებოდნენ ის ოცნებანი,
ვით ყვავილები ყინვიან ქარში,
ვიყავი ბავშვი —
სული მგზნებარი
ბრძოლის გზას როგორ ჰპოვებდა მაშინ.

არც ის ვიცოდი — ზეცა მამულის
ლენინის შუქით რომ ნათდებოდა
და მამაჩემი
ლეგენდარული
ოქტომბრის პოლკთა მწყობრში დგებოდა.

მე გავიზარდე. გავმართე მხრები.
შორს სადღაც დარჩა ღამის ტანჯვანი.
საასპარეზოდ მაქვს ფართო გზები
და სამახსოვროდ — მამის ხანჯალი.

## თ ბ ი ლ ი ს ი

აი თბილისი!
მარადისობის
ოკეანეზე გასული გემი.
ვარდმაისობის
შუქით ვივსები
და მინდა ვუთხრა სიმღერა ჩემი
მას, ვინც აანთო ჩაუქრობელი,
ცეცხლი სიცოცხლის დიდი დილისა,
ვინც აღამაღლა მიწა მშობელი
ულამაზეს და უკვდავ თბილისად.
მწვანე ბაღებად, ცისფერ სვეტებად,
სიმღერებად და სასახლეებად;
გული საგულეს ძლივსღა ეტევა, —
ჩემს თვალწინ შუქის ზღვაა ვეება.
თბილისის გულში,
პროსპექტის თავში
დგას რუსთაველი, როგორც თამადა,
მის ხმას არასდროს ედება ხავსი,
საუკუნენი ექცნენ წამადა.
მთაზე ელავენ თასიც, მასვილიც,
მხარზე კრწანისის ხოხობი მაზის,
თბილისის თუნდაც ერთხელ მნახველიც
ვერ დაივიწყებს მის სილამაზეს.

...ვიგონებ შენთან შეხვედრის წუთებს,
რომ ჩემს ლექსს კარგმა დარმა უდაროს;
თბილისო, დიდი სიმღერის ბუდევ
და გაზაფხულის ნავსაყუდარო!

## ჩემი პოეტი

აკვნიდანვე შევიტკბე მე
ლექსი რუსთაველის,
მაშინ ჯერ არც დამდგომოდა
წერა-კითხვის ჯერი;
მის ლექსს,
სხვისგან სიმღერად თქმულს,
ვიბეჭდავდი გულზე,
მერე თვითვე ვკითხულობდი
მთვარე მენთო თუ მზე.
როცა ომის გზაზე გაველ,
მე თან გამყვა მისი
სიტყვა — ბასრი იარაღი,
სიბრძნე მარადისი.
იგი იყო მყუდროება
ქართა გრგვინვის შემდეგ,
იგი იყო გაზაფხული
ზამთრის ყინვის შემდეგ.

## დაცხრილული ნაბადი

ვოლგამ ჩაიცვა ყინულის თორი,
დონის სტეპებზე გრიგალი ბღავის,
დატორილს ტყვიის ცეცხლოვან ტორით
ჩემს ნაბადს დენთის ეხვევა ბოლი,
ზედ წითლად სისხლის წვეთები ჰყვავის.
ჩაძინებაც კი არ ძალმიძს წამით,
ვწევარ და ველი დილას ბინდაშლილს,
მახურავს კალთა ქარის და ღამის,
ყინვისგან ძვლები ტკაცუნობს ლამის,
აქ არც დოტია და არც ბლინდაჟი.
ნაბდის ერთ კალთას ვიფარებ საბნად,
მეორე კალთას ლეიბად ვიგებ,
მშობლიურ მიწის სუნი აქვს ნაბადს,
სულს მის კალთის ქვეშ სიამით ვნაბავ
და ჩვენი მთების სუნთქვის ხმას ვიგებ.
ეს დაცხრილული ნაბადი არის
ჩემი ლოგინიც, სახლიც და ფარიც.

**იანვარი, 1943.**
**სტალინგრადის ფრონტი.**

## მოვალეობა

თუ კი
შენს ღვიძლ ძმას დაეხმარე ოდესმე, სადმე,
თუნდ შენი მკერდით ააცილე ტყვია მცელავი,
ძმის დახმარებას ნუ დაარქმევ საგმირო საქმეს,
ვერ გააკვირვებ ამით ვერავის.

თუ კი
შენს ღვიძლ დას დაეხმარე ოდესმე სადმე,
არ დაიშურე მისთვის შრომა, ძალა და ღონე,
დის დახმარებას ნუ დაარქმევ საგმირო საქმეს,
ვერ გაგვაკვირვებ — თავის ქებას ნუ გაგვაგონებ.

თუ კი
შენ წრფელი სიყვარულით შენი მშობელი
დედ-მამა გიყვარს, გიყვარს შენი კერია თბილი,
ნუ იამაყებ, — ოდითგანვე არის ცნობილი,
რომ მშობლის წმინდა სიყვარული ვალია შვილის.

თუ კი
სამშობლოს წამოაწვა ღრუბელი ომის,
ბრძოლაში წადი — ამას შენი გავალებს ვალი,
ნუ დაიშურებ თვით სიცოცხლეს, ვითარცა ლომი
მომხვდურს შეები, დაუკეტე მამულის კარი.

თუ კი
სამშობლოს სიყვარულის დროშას არ დახრი,
ბრძოლაში საქმით დაუმტკიცებ მამულს შვილობას,
მაგ შენი წმინდა ვალის მოხდას თვით შენი ხალხი,
მშობელი ხალხი აღიარებს უკვდავ გმირობად.

## ჭა

ზაფხულის სვატში, როს ქვასაც ადნობს
სიცხე და მიწა ციურ ცვარს ნატრობს,
თუ მოგდებია წყურვილის ალი?
თითქოს ღადარი გადევს ბაგეზე,
ნატვრისთვალივით წყაროს დაეძებ,
სიცოცხლედ გიღირს თუნდ წვეთი წყალი.

მოულოდნელად ჭა ჰპოვე მთებში,
დასწვდი, დალიე ორივე პეშვით
როგორც ნანატრი ბედნიერება.
შესვი, უთხარი მადლობა წრფელი,
ვინც ჭა მოთხარა მზრუნველი ხელით
და წყურვილმოკლულ გულს ემღერება.

თუმც ერთმანეთის არ ვართ მცნობელი,
მგზავრო, მე შენი ვარ მადლობელი,
რომ დამიფასე შრომა და გარჯა.
ჩვენ ყველას გვადევს ერთურთის ვალი
და ჩვენ გვამდიდრებს, გვამდიდრებს რარიგ
ერთმანეთისთვის სიკეთის ხარჯვა.

## გაზაფხულის დილის შუქი

ღამის მწუხრი გაიცრიცა,
გაისრისა ზამთრის ბუქი,
ელავს შუქი მაისისა,
გაზაფხულის გრგვინავს ბუკი.

გაიღიმე, დროა უკვე
ვთქვათ სიმღერა სიჭაბუკის,
გაიცინე, მომაშუქე
გაზაფხულის დილის შუქი.

ხომ გითხარი, მოვა-მეთქი
გაზაფხული ვარდთა ფენით,
ხმა ხომ გესმის კვირტთა ფეთქვის
და ბულბულის ნაზი სტვენის.

მღერის მიწა გაბადრული,
გაზაფხული მოჰყავთ ქარებს,
მაშ ძვირფასო ჩემო, გულით
ამღერდი და გაიხარე!

## გაუმარჯოს მოუსვენარ გულებს

თუ იგრძენი
თავი ცუდად,
და ტკივილებს ჩაუწექი,
მყისვე უნდა
უსმო ექიმს.

ისიც მოვა.
გაგისინჯავს
გულს და მაჯას, ყელს და ფილტვებს,
მერე დინჯად
ასე იტყვის:

— ჰა, რეცეპტი!
გარგებს დიდად,
რომ ეს რჩევაც დაიჯერო:
იყავ მშვიდად,
არ იღელვო!

იგი წავა.
და წამალი
არ დალიო, არ გაქვს ნება,
მაგრამ, რაა დასამალი,
როგორ ძალგიძს მოსვენება.

განა წუთით მოგასვენებს
სიყვარული — მბრძანებელი,
ბედ-იღბალი მოყვასების,
საქმე დასამთავრებელი!..

შრომით, ბრძოლით, წვით და გარჯით
ჩვენ ყველა დღეს ვუდგამთ ძეგლებს.
მაშ ამქვეყნად გაუმარჯოს
გულებს, მუდამ დაუდეგრებს!

## იმ ღამეს

ცხრაასჩვიდმეტი.
ოქტომბრის ღამე.
ღელავს მრისხანედ
პეტროგრადი,
გახვეული ნისლში და ბოლში.
ვლადიმერ ილიჩი
მოვიდა სმოლნში.
და როგორც სმოლნის ჩირაღდნები,
აენთო ისე
თვალები ხალხის,
და ვით გრიგალში ზღვის ტალღები,
აღელდა ისე
გულები ხალხის:
ლენინი მოვიდა,
ლენინი სმოლნშია —
გაუმარჯოს რევოლუციას!

ალისფერდროშიან
ხალხისთვის ლენინს

პრომეთეს ცეცხლი გადაუცია.
იმ ცეცხლის მუგუზლებით ხელში
ზამთრის სასახლისკენ მიდის
მატროსი, ჯარისკაცი, მწყემსი,
მუშა და მთესველი მინდვრის.

ზამთრის სასახლეში
მთავრობა დროებითი
თრთის როგორც შემოდგომის
ფოთოლი.
– დახურეთ კარ-ფანჯრები,
ავ ქარებს მოერიდეთ, –
გუგუნებს ქარიშხალი
მშფოთვარი....

მაგრამ ამ ქარიშხალს აღუდგეს ვერავინ,
ირყევა სამყარო ძველი,
ნევაში შიშხინებს ელვის
შოლტები ცხელი და მწველი.

ეს ელვა ზეცასაც მისწვდება
და დიად გაზაფხულს ახარებს
დედამიწას.
იწყება!
იწყება!
იწყება
ისტორიის ახალი
წელთაღრიცხვა!

დარბაზში მატროსი
შევარდა,
ფეხდაფეხ მიჰყვებიან
ჯარისკაცნი,
ჰგვანან მთით აფრენილ
შევარდნებს,
მათი გამოხედვა
არის მკაცრი.

შაშხანებს ხიშტები აქოჩრიათ,
ლულები თვალმომჭრელად ანათებენ,
დაკოჟრილ ხელებში რა მორჩილად
ტოკავენ გრანატები.

და ისმის მრისხანე ძახილი:
— გაპატიმრებთ
რევოლუციის სახელით!

საუკუნოვანი ღამე მიდის,
მიდის მთავრობა დროებითი
სამუდამოდ აწეული ხელებით,
სამუდამოდ დადრეკილი ქედით.
დილა მოდის.
ნედლდება ხმელეთი
და მზის
საუფლოში შედის.

სმოლნი...
ლენინი...
იქით მიდის ყველა გზა ახლა,
რევოლუციის დროშა ძლევით
აწვდილა მაღლა.

დგება ტრიბუნასთან.
მსოფლიოს გადასწვდება
ხმა იგი —
უნაპირო სინათლის მფენელი —
რევოლუციის გამარჯვებას
აცხადებს
ლენინი!

* * *

პირქუშ ყაზბეგზე მაისის მზის შუქი იალებს,
ბრწყინავს მწვერვალი და მშვენიერ პატარძალს ვადრით.
სიმართლე ასე აცისკროვნებს ადამიანებს
მათი სულიდან წამოსული სინათლის მადლით.

შეჭირხლულ ფრთებით დაჰქროლებენ ქარები მკაცრი,
ყველა ფოთოლი დასცვივდება გაყვითლებულ ტყეს.
სიცრუე სწორედ ასე ძარცვავს ღირსებას კაცის
და სული მისი ემსგავსება გაშიშვლებულ ხეს.

## ზაფხულის ღამე

ისე მოდის ღამე როგორც
მგზავრი დაგვიანებული,
ვარსკვლავების ხორბალს მუჭით,
ვით მთესველი, ჰფანტავს ცაზე,
ვერცხლის დიდ თასს გამოიტანს
მიწის შუქით წამებული
და მწვერვალებს დააშუქებს
სავსე მთვარის სილამაზეს.

ცას ვარსკვლავი სწყდება სადღაც,
დაირსევა ელვის კვალი,
მყუდროებას დააფეთებს
ხმა გარმონის და სიმღერის.
მკერდზე შემოგაფრინდება
ფრთამსუბუქი ნიავ-ქარი,
ისე მოგეალერსება
როგორც სატრფოს ნაზი ხელი.

# მშობელი მიწა

ჩოხის მასრებით
მშობლიური მიპქონდათ მიწა
უცხო ქვეყნებში მიმავალ მამებს.

ჯემალდინ იანდიევი

მეც წავსულვარ უცხო მსარეს
(ვიფონებდი გულის თქმას რით...)
არა, თან არ წამილია
მიწა ჩემი ჩოხის მასრით,
მიწა იგი, რომელზედაც
დავიბადე, გავიზარდე,
სიყვარულის მენთო მზე და
ვთესდი პურს და ვზრდიდი ვარდებს.
გულზე მქონდა აღბეჭდილი
ყველა ხე და კენჭი მისი;
არა, ჩემი მიწა თბილი
არც უბეში მედო ქისით.

მიწავ ჩემო, გაჟღენთილო
მამა-პაპის სისხლით, ოფლით,
სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
შუქო ჩემი წუთისოფლის;
შორს ვიყავი შენგან ძლიერ
და არასდროს გშორდებოდი,

ყინვაში — მზედ, ხვატში ნიავ-
ქარად ამოვქროლდებოდი.
შენ შეგტრფოდი სიყვარულით,
მშობელ დედას გადარებდი,
მუდამ გულით, ყველგან გულით,
მხოლოდ გულით გატარებდი.

## ვარსკვლავი

არსად თავდება უსასრულო ცათა საზღვარი,
სად ცეცხლოვანი პლანეტების ჰქრიან ეტლები,
ხელსაწყოები სიჩქარეს და მანძილს საზღვრავენ
და უკან რჩება მილიონი კილომეტრები.

იწელებიან ტელეგრაფის ვიწრო ლენტები,
გადამცემები, მავთულები, ლიანდაგები, —
კოსმოსურ ხომალდს აცილებენ კონტინენტები,
სახელმწიფონი, ქალაქები, სოფელ-დაბები.

კოსმოსში მიჰქრის მიწის სული აკივლებული,
ღმერთებთან მიაქვს ცეცხლი ჩვენი დროის პრომეთეს,
ახამხამებენ ცხელ წამწამებს გაკვირვებული
მნათობნი ცათა,
ეწეწებათ კუდი კომეტებს.

თვითონ მზეც ჰკვირობს,
მის მხურვალე ბადეში კრთიან
ახალ ვარსკვლავის მიწიერი ელვის რგოლები,
ყველაზე მაღალ, ყველაზე შორ ოლიმპზე მიაქვს
დედამიწის შვილს მძლავრი ცეცხლი თვისი გონების.

## რკალიდან „ლექსები საქართველოზე“

### ა ლ ა ზ ა ნ ი

მე დღესაც შევსვი ალაზნის წყალი —
მთათა ნაჟური სხივმოფრქვეული;
ელვარებს როგორც ბრძოლაში სმალი,
კავკასიონის მთით მოქნეული.

ცისარტყლად წვება მწვანე ველებზე
ველთა სიმწვანის დამპურებელი,
მის ცხელ ტალღებში შედის ცხელი მზე
და ჯეელდება მიწა ბებერი.

აქ ხომ ოდესღაც ცეცხლს ჰყრიდნენ ხმლები,
გადამწვარ მიწას ცრემლ-სისხლი სწვავდა,
დიდხანს ებრძოდნენ ქართველი ძმები
მტერსა და სიკვდილს, ღამეს და ავდარს.

ის დრო წასულა. ჩემს ძმებთანა ვარ,
სიყვარულისთვის აღზევებული,
გავცქერ კახური მიწის ფალავანს
მისი მშვენებით დატყვევებული.

ვინ უწყის როდის, ვინ უწყის როდის
ნაშვა პირველი ტალღა ალაზნის,
ეკვეთა შიშველ კლდეებს და ლოდებს
გააფთრებული როგორც ავაზა.

გზა გაიკაფა, ბარად დაეშვა
გაავებული გვალვის საძოვრად,
მკერდზე სიცოცხლის მტრედი დაისვა
და ველებს ძუძუ მისცა საწოვრად.

ო, ალაზანო, მწვერვალთა ვეფხვო,
შენ საოცრება ხარ მიწიერი,
მშობელი მთების ჩამოგაქვს ექო,
მათი ფილტვების სუნთქვა ძლიერი.
ხან ლოდებს უტევ მოსისხლე მტერი,
აედევნები ელვის ბილიკებს,
ხან როგორც ცხენი გაუხედნელი
ბაღ-ვენახებში შეიჯირითებ.

ხან სიყვარულით დაუურველი
ეალერსები ღორღსა და ქვიშას,
გაბრუებული მიწის სურნელით
ხან უნაზესად მკოცნელი ქვისაც.
ხან შენს ტალღებში მზის სხივს ჩაფანტავ
და გადევს ზეცის კამკამა ფერი;
ჰოი, რაინდო ძველთა ზღაპართა,
შენთან ვარ და შენს დალოცვას ველი.

მთებიდან მოჰქრი, გრანიტის კლდეებს
შესჭიდებიხარ გაჩენის დღიდან,
სვამ გზაზე შემხვედრ ქაფიან ხევებს,
მთათა და ცათა ცრემლებით მდიდართ.
შხეფნი ცისარტყლის ღიმილს ხატავენ,

ვარსკვლავთა ჭორფლი გაყრია ღამით,
ხან თითქოს ვინმემ მოგდო სადავე,
ყალყზე შემდგარი ყუჩდები წამით.

წამით ყუჩდები, იქუხებ მერე
და კვლავ წინ მიჰქრი ეგზომ ფიცხელი;
მომეცი ნება, — ვით სტეპის მერანს
აშლილ ფაფარში ჩაგავლო ხელი.
შევიგრძნო შენი ძალა იქ, სადაც
ცისფერ ჩლიქებით ქვა-გრანიტს ტორავ,
შენი ჭიხვინი აჭრილა ცადა
ზარების რეკვად თუ ჭავლის ბოლად.

შენკენ გამორბის ათასი წყარო,
გწერენ ველების ცისფერ პოემად:
მე ვით დაგშორდე, ალაზნის წყალო,
არ ძალმიძს შენთან გამოთსოვება.
მსურს ამ ჭალებში დიდხანს ვიდოდე,
გულს ამ მშვენების ჩავუნთო ალი;
არა, არ ძალმიძს გითხრა „მშვიდობით", —
ნახვამდის! — ისევ მოგივალ მალე.

# ბაშლამი

(ნაწყვეტი)

ღღეს მე შენთან ვარ, სუსხიანო ჩემო ბაშლამო,
ფილტვებმა შენმა ქარიშხალი ამოასველა,
ცა ჩაალამა შენთა შავთა ფრთათა გაშლამა,
შენს თავზე მზესაც აღარ ძალუძს თვალის გასელა.

მჩსვლეტენ ფიფქები, ვით ყინულის ბასრი ნემსები,
ვერაფერს ვხედავ, თვალში მკვეთრი სითეთრე ჰყვავის,
შმაგი ქარები; ვით ფიცხნი და მკაცრი მწყემსები
ერეკებიან ჯოჯოხეთურ ყინვას  და ბღავილს.

და აღარც ცაა, აღარც მზეა, აღარც დღე არი,
თითქოს არც ოდეს ყოფილიყვნენ ქვეყნად ისინი,
და ზეზეურად ათასწლოვან ღამის მთევარი
ღრუბლებში დგახარ და ყიჟინებ ველურ ყიჟინით.

ჰოი, ბაშლამო, წარსული თუ გაგხსენებია
და საყვირებად გიქცევია საჯიხვეები,
ეგ შენი ქვები აწ გარდასულ ამბებს ჰყვებიან,
კლდეთა გუგუნში ცოცხლდებიან ძველი დღეები.

---

* ბაშლამი — ასე ეძახიან ჩეჩნები მყინვარწვერს.

ამთავრებ თხრობას, ფართო მკერდში ქარს ჩაისუნთქავ,
ღრუბელი ჰქრება, გაიხსნება ცათა დარბაზი,
ფართო თავანზე გადმოდგება მზე თავისუფლად
და კვლავ ციმციმებ ცის გუმბათში როგორც ალმასი.

შენს ფერდობებზე ცხვრის ფარები აიშლებიან,
აიჭრებიან ცის თაღისკენ ფრინველნი ქარად
და ბალახებში, მზის გულზე რომ მწვანედ შრებიან,
ყაყაჩოები ირსევიან სანთლების ალად.

## ყველაზე ლამაზი ყვავილი

შენ მთხოვე, მეშოვნა, შენთვის მომეტანა
ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ყვავილი!
ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ყვავილი
სად აღარ ვეძებე, შემოვვლე ქვეყანა!

რარიგ არ ვეძიე ყვავილი იმგვარი
მაგ შენს სილამაზეს რომ ეკადრებოდეს!
მაგ შენს სილამაზეს რომ ეკადრებოდეს
ვერ ვპოვე ყვავილი, თუმც სად არ ვიყავი!

და როცა დავბრუნდი და გნახე ხელახლა,
შენმა სილამაზემ კვლავ მომჭრა თვალები!
შენმა სილამაზემ კვლავ მომჭრა თვალები
და მივხვდი, რომ იგი ყვავილი შენა ხარ!

## ტალღა

მე ვნახე როგორ დაიბადნენ ზღვაზე ტალღები:
ცისფერ სიბრტყეზე, როგორც კაცის მკლავზე ძარღვები,
გაჩდნენ ზოლები. აიბურცნენ მერე ქედებად,
მსწრაფლ ამოძრავდნენ, აღრიალდნენ თავგამეტებით.
გზა-გზა ფაფარი აიშალეს და გიჟურ ქროლვით
სანაპიროსკენ გამოიჭრნენ თვით მთათა ტოლნი.
და ვითარც აღვირდაჭერილი ვეება ცხენი,
ძალმიცემული დარჩეული შვრიით და ქერით
ყალყზე შემდგარი ტალღა რისხვით დააცხრა ნაპირს
და ღრუბელივით განიფანტა ჭავლი და ქაფი.
ტალღის სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ უკვალოდ
როდი ჩაივლის, ზღვას აღვიძებს, რომ იმქუხარონ
მის ნაკვალევზე სხვა ტალღებმა თავგამეტებით.
ცრემლებად შერჩა მაღალ ნაპირს ტალღის წვეთები,
ცამ უსწრაფესად ნისლის ჩადრი გადაიხადა
და ყოველ წვეთში მზის ღიმილი გადაიხატა.

## ორი ნაკადი

ოდითგან ორი მოდის ნაკადი,
ოდითგან ორი მოდის ნაკადი:
ერთია ღამე შავად ნახატი,
მეორე დღეა მზისფრად ნახატი.

დედამიწაზე ოდითგან მოდის
ორი ნაკადი — მღვრიე და წმინდა,
ერთს ბოროტების ზღვა აქვს სათავედ,
მეორე მოქუხს სიკეთის ზღვიდან.

ორი ნაკადი მოდის და მოდის
სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა გზნებით,
ერთიმეორეს ებრძვიან ოდით,
გაჩენიდანვე ერთურთის მტრები.

ებრძვიან ერთურთს ძილშიც, ღვიძილშიც
ღამე ბნელი და დილა მზიანი,
იმათ ბრძოლაში, იმათ ჭიდილში
გაჩნდა ამქვეყნად ადამიანი.

და აი უკვე მილიონ წლობით
გრძელდება მკაცრი ჭიდილი მათი,
შეურიგალი ნაკადი ორი
ადამიანის გულებზე გადის.

ადამიანო, გრძელდება ბრძოლა!
უსმინე ხალხის სურვილს და ღაღადს,
გზა გაუხსენი შენს გულში მხოლოდ,
მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის ნაკადს!

* * *

მასსოვს, დავეცი ამ ქუჩაზე ბავშვი პატარა
და ჩემი სახე ცრემლნარევმა სისხლმა დასერა.
მერე ამ ქუჩამ ბევრი მხარე შემომატარა
და ახლა მისი ტალახიც კი მეძვირფასება.

აქ კაკანათში მოვამწყვდიე ერთხელ ბელურა,
შემდეგ კი ბედმა თვით გამაბა მახეში ბევრჯერ,
იმ დატყვევებულ ჩიტის ბედით შეწუხებულმა
მე ჩემი თავის პატიება ვერასდროს შევძელ.

მამა ამ ქუჩით გავაცილე, აი ამ ქუჩით
უკანასკნელად დამიქნია მშობელმა ხელი.
ალარ დაბრუნდა ბრძოლებიდან ოჯახის ბურჯი,
მასზე უფროსი გავხდი მე და მის მოსვლას ველი.

უთქვამთ, სიკვდილის წინ მშობლიურ ტყისაკენ სპილო
გაიშვერს ხორთუმს, ულირს იგი ყველაზე ძვირად,
ალბათ მეც თუ ვგრძნობ შეღამებას და მისთვის ვცდილობ
ბავშვობისაკენ გავიხედო სულ უფრო ხშირად.

## მთის ნაკადი

მთებს შეჰღრიალებს და ბარისკენ მიფრენს ფიცხელი,
კლდეებს ატირებს მისი შხეფი ალურიცხველი.
გარდა წინქროლის, მას არა აქვს სხვა ნეტარება,
მას შორი გზა აქვს, იგი ზღვისკენ მიეჩქარება.

ვზა-ვზა შეხვედრილ მდინარეებს იხუტებს მკერდში,
სიხარულისგან წამოქოჩრილ ტალღების ფრთებს შლის.
თუ რომელიმე იმათგანი გზაზე უგანებს,
დარდისგან ოხრავს მთის ნაკადი ასე მქუსარე.

მაგრამ როდესაც ზღვას მიაღწევს, ივიწყებს ყველა
დარდს და უზომო სიხარულით საოცრად ღელავს.
ზღვის ცისფერ სივრცეს შეერთვიან ბროლის ჩქერები
და მისი ყველა წვეთი მღერის ბედნიერებით.

ამქვეყნად უფრო საამაყო რა იყოს ჩემთვის, —
სამშობლოვ ჩემო, ჩემი გული შენს დიდ გულს ერთვის!

## კლდე

მინახავს, როგორ ღელავს ხოლმე ზღვა ბობოქარი,
სანაპიროსთან ამართულ კლდეს აწყდება რარიგ,
მაგრამ ამაოდ ეხეთქება ტალღა და ქარი,
მშვიდად დაჰყურებს ზღვას კლდე იგი, ამაყად მდგარი.

აღრიალდება ვით მძვინვარე მხეცი დაჭრილი,
წამოშლის მთებად გააფთრებულ ტალღების წყებას,
ტალღა აწყდება კლდეს და მერე ღონედაცლილი
უკან დაიხევს და ჭავლივით უკვალოდ ქრება.

...მღვრიე ტალღები გეხლებიან, მაგრამ ამაოდ,
შენ, ყველა კლდეზე, ყველა რვალზე მკვიდრო და მყარო,
სამშობლოვ ჩემო, სიცოცხლეო დაუსაბამო,
ხალხთა მშვიდობის შეუვალო ბურჯო და ფარო.

## წყარო

მიწის მკერდით ცივი წყარო ჩქეფდა,
ყველა მწყურვალს წყურვილს უოკებდა.

მაგრამ ერთხელ ლოდი მოსწყდა მთიდან,
ზედ დაემსო იმ წყაროს თვალს წმინდას.

ვინ იტყოდა, წყარო მოკისკასე
ლოდს ქვემოდან ამოსჩქეფდა ასე.

წყარომ ლოდი ამობურღა ტალღით,
გაასარა ტყის მკვიდრნიც და სალხიც.

ამ ქვეყნად ხომ სიმართლეც ჰგავს წყაროს,
რა დააშრობს მის შუქს სანეტაროს...

კაცმა შენით მუდამ გაიხაროს,
დაუმშრალო, სანუკვარო წყაროვ!

## სადაც ერთვის ნაკადული

ისევ ბობოქრობს მთებში არღუნი,
ვით ვეფხვი ახლად დატყვევებული,
მას არტახებად ბედმა არგუნა
კლდენი ზვირთცემით გატყავებულნი.

ისე ღრიალებს,
ნაღირ-ფრინველი
ვერ ეკარება, შიშით გამფრთხალა,
მოღმუის, ბოლოს სვდება წინ ველი
და ნაკადული ერთვის ანკარა.

მთის გადარეულ მდინარეს მაშინ
დაეწმინდება მღვრიე ტალღები,
ჭყუმპალაობენ ვარსკვლავნი წყალში
ვით ტიტლიკანა ჩვილი ბალღები

ქვიშიან ფსკერზე დაიძირება
დასველებული სხივები მთვარის,
წყლის დასალევად მიდის ირემი
და კოკას ავსებს ჩეჩენი ქალი.

## ცეცხლი, რომელიც გულს ათბობს

ბნელი ღამეა, მკაცრი ღამეა,
გზას არ მინათებს ვარსკვლავის კვარი,
მარცხნივ კლდე არის, მარჯვნივ ხრამია,
თვალს თოვლით მივსებს ძლიერი ქარი.

გადაუთეთრდა შავი ფაფარი,
გზას ასცდა ჩემი დაღლილი შავრ...
სად ვნახოთ ჭერი თავშესაფარი —
ლოგინით სახლი და ქერით თავლა..

ნაბადში, როგორც საცერში ფქვილი,
ბადის ქარი და ფიფქების მტვერი.
ზურგსუკან მოგვდევს ძუნძულით ფრთხილით
კბილალესილი მშიერი მგელი.

ქარბუქს და ყინვას ჯიქურ მივაპობთ,
თვალმა წყვდიადის ქსელი დაფლითა
და უცებ ვსედავთ — სადღაც კიაფობს
სარკმელი ბაზმის ციცინათლითა.

გვისმობს, გვეძასის სინათლე მკრთალი,
ხმაცა ჰქონია სინათლეს თურმე...
აგერ გამოჩნდა სასლიც და კარიც,
ვაინახების ძაღლიც სცნობს სტუმარს.

ვაინახს დიდად უყვარს სტუმარი,
ძმურად მიიღებს, გაუწყობს სუფრას,
და რამდენადაც უცნობი არის,
ის ძვირფასია იმდენად უფრო.

— ჰეი, ნახებო! — შუქი შემატა
ჩემმა ძახილმა სარკმელში ბაზმას,
შეწყვიტა მთელმა სახლმა თვლემა და
ეზოს ჭიშკარი გააღო კაცმა.

მითხრა:
— მობრძანდი, ღიაა კარი, —
და დაუჭირა ჩემს ცხენს აღვირი, —

გთხოვ, ჩამობრძანდე ცხენიდან ჩქარა,
ორივე სჩანხართ ძალზე დაღლილი.

ჩემს ღარიბულ ქოხს იკადრებ თუკი,
თუნდ მთელ წელიწადს დარჩით ჩვენთან, —
ღიასასლისის თვალების შუქი
ოჯახს საოცარ სინათლეს ჰფენდა.

ბუსრის თაღს ალი ეთამაშება,
ღე, ეს კერია მარად ჟამს ენთოს!
გამოიღვიძეს უცებ ბავშვებმაც,
სტუმარი გვყავსო, — ახარეს ერთურთს.

ჩემს წინ გაშლილა გულუხვი სუფრა,
მათბობს ბუხარი გაჩაღებული,
მაგრამ იმ ცეცხლზე ცხელია უფრო
მოსიყვარულე მასპინძლის გული.

ასე სანუკვარს, ესოდენ ნეტარს,
რა შეედრება მის სითბოს ნეტავ...
ადამიანის გული და სიტყვა
ევათბობს ამქვეყნად ყველაზე მეტად.

## მთებში გათენების ჟამს

მზემ ჯერ სხივნი გამოგზავნა
თავის ფესვარდ შათირებად,
მთებზე ნისლი ამოძრავდა,
თუ აპირებს ატირებას.

აისროლეს ცაში მთებმა
მთის არწივი ფრთებგაშლილი,
გაიღვიძა, იწყო ძებნა
ძილფხიზელმა შველმა შვილის.

ჩაუგუბდა თვალში შიში,
როგორც ხევში ბინდი მწუხრის,
მაგრამ აგერ იმ კლდის ძირში
აკნატუნებს ნეკერს ნუკრი.

შველმა გული დაიმშვიდა
და მივიდა თავის შვილთან,
უცებ შეკრთა დედა-შვილი, —
შემოესმათ მგლის ყმუილი.

ჩაიყენეს მუხლში ქარი,
სიფათს სწრაფად გაერიდნენ,
ნახეს კუთხე უშიშარი
და მზის შუქში გაირინდნენ.

მზემ გაალო ცის ცსრა კარი
და წაშალა ცაზე მთვარე.
მოდის დილა მზის თაკარით
მომღიმარი, მოელვარე.

## იმ ცეცხლოვანი წლების გახსენება

გათენების წინ
წამიერად დამელანდება
მთებში ტაიჭთა მიჰქრის რემა გადარეული,
მათი ფლოქვები
მთის ბალახის წვენით მწვანდება
და შიშველ ხმლებზე დახტის მთვარე გადალეული.

მერე ცისკარი მოვარდება
ბედაურივით,
ეზე ცის გუმბათზე ჩამოჰკიდებს ჭაღებს თუ ზარებს—
— შუადღის ჟამზე
შეაწუხებს მიწას წყურვილი, —
ფიცხი მდინარე მთის ვიწროებს შეაზანზარებს.

ფიქრები ჩემი —
ტაიჭები დაუდეგარი —
დაჰქრიან ქვეყნად, დაჰხარიან მშობლიურ მთა-ბარს,
რომ ჩემმა გულმა
შეაგებოს სიტყვა მჭექარი
მამულის დილას — ახდენილ ზღაპარს.

ჩამოეკიდა
მზის სხივს მტრედი ოქროსნისკარტა,
ძალუმად ისმის დილის სუნთქვა გაფიცხებული.
როგორც ქმარს ცოლი,
ეზო-კარის ღია ჭიშკართან,
მხვნელს ელის მიწა, მზის ამბორით გაღვიძებული.

და აი უკვე გამოსულა
მინდორში მხვნელი!
ზღვად ჩასდგომია გაზაფხულის შუქი თვალებში,
პრიალა სახნისს
მოფერებით შეავლო სელი,
დამკლავებულმა შეპღიმილა მიწას ალერსით.

ჰოი, რაოდენ მდიდარია
და ღონიერი
მიწა, გამძღარი გაზაფხულის მზით და წვიმებით,
პურის სურნელით გაჟღენთილი,
გულმადლიერი,
ჩვენი მკვებავი, ჩვენი დედა, ჩვენი იმედი.

გამოიღვიძა დედამიწამ
და ფართო მკერდი
გულდანდობილად მიუშვირა ფოლადის სახნისს,
თავს დილა ადგას,
ნებიერად წევს მხვნელის ფერხთით
დამპურებელი ქვეყნად ყველა აკვნის და სახლის.

მზისკენ გაიჭრნენ
ტოროლები ჟრიამულითა,

ქვეყნად სიცოცხლის ეს ხმაური როგორ ჩაცხრება...
და გლეხიკაცის
დაკოჟრილი ხელისგულიდან
ხნულში ხორბალი იფანტება ოქროს მარცვლებად.

ჯეჯილი მალე დაპურდება.
თავთავმძიმენი
ყანები ქარის მუსიკაზე აცეკვდებიან,
მოვა მკათათვე,
აჟღერდება სულის სიმები
მხვნელ-მთესველისა, — დიდ მოსავალს ასე ხვდებიან.

ჰოი ნათელო სიხარულო მხვნელ-მთესველისა! რარიგად ხარობს იმისი გული, როდესაც ხედავს მიწის მკერდიდან მწვანე ზღვასავით მოვარდნილ ჯეჯილს! ის სიხარული ნეტავი რით განიზომება?!

მაგრამ კვლავ ცხენთა ფეხის ხმა მესმის.
საავდრო ღრუბლად დაძრულა მტერი,
ომის გრიგალი მოიწევს მთებში
და არ მასვენებს ტკივილი მწველი.

თითქოს მეორედ მოსვლას ელისო,
ისე თრთის მიწა, ხვივიან მთები,
ვხედავ და ვშფოთავ — საიერიშოდ
სისხლიან ხმლებით მოჰქრიან მტრები.

შავ ღამედ მოდის თეთრების ჯარი
და ხეობებში წყვდიადი დგება,

სოფლებს, აულებს სწვავს ხანძრის ალი
და კვამლი ცაზე ღრუბლებად წვება.

არავის ინდობს ხიშტი და ხმალი,
იღვრება სისხლი ბავშვის და ქალის,
დახანძრულ ქედებს დასტირის ქარი
და ვიწროვდება სიკვდილის რკალი.

ელავს სიკვდილის ბრჭყალები მყიფე,
კარდაკარ დადის და იმუქრება.
გმირ ბუტირინის სიცოცხლე ტიფის
ალმურში ქრება, ნელ-ნელა ქრება.

წევს ასლანბეკი გულგანგმირული,
ნოე ბუაჩიძე მოცელა ტყვიამ.
არ ტყდება ხალხის სული გმირული,
ის შურს იძიებს ადრე თუ გვიან.

მაგრამ სიკვდილი ზეიმობს ჯერ კი,
ეს ერთი ცნობაც მოვიდა შორით:
„მამაც აბრიევს — კომისარს თერგის
ნული იგულვებთ ცოცხალთა შორის“...

დეპეშა
მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს
კავკავი, 1919 წლის 24 იანვარი.

XI არმია აღარ არის. ის საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად იკავებს. ღამე იდგა საკითხი,

რომ დავტოვოთ მთელი თერგის ოლქი და წავიდეთ ასტრახანისაკენ. ჩვენ ეს პოლიტიკურ დეზერტირობად მიგვაჩნია. არ არის ყუმბარები და ვაზნები. არ არის ფული. კავკავი, გროზნი აქამდე არ ღებულობდნენ არც ვაზნებს, არც კაპიკ ფულს. ექვსი თვეა ისე ვაწარმოებთ ომს, რომ ვაზნებს ხუთ-ხუთ მანეთად ვყიდულობთ.

ვლადიმერ ილიჩ, გაცნობებთ რა ამას, დარწმუნებული იყავით, რომ ყველანი დავიხოცებით უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ჩვენი პარტიის სახელს გაქცევით არ შევარცხვენთ.

გროზნის და კავკავის მუშებში ურყევი გადაწყვეტილებაა იბრძოლონ და არ დატოვონ ბრძოლის ველი. მთიელ ხალხთა სიმპატიები ჩვენს მხარეზეა.

ორჯონიკიძე.

...და თვით შორეულ აულებსაც მისწვდა ძახილი:
„ალსდექით, ხალხო, პირსისხლიან მტერს შეერკინეთ!“
მისი სახელი დაუძრახველი
დღეს ყველამ იცის, ეძახიან მთებში ერჟკინეზს.

ერჟკინეზს — სერგოს ვერ გასტეხავს ვერარა ძალა,
მის დაძახილზე საბრძოლველად ალმდგარა ხალხი
დაიძრა, მოდის გაზაფხულის ნიაღვრის დარად,
რათა დაიცვას მშობლიური მიწა და სახლი.

სერგოს თვით მძიმე განსაცდელიც ვერ აშინებდა,
გაულუნავი იყო მუდამ ვითარცა რვალი,
არც მეფის ცისეს, არც ბორკილებს ის არ მინებდა,
ყველგან ახსოვდა ხალხისა და პარტიის ვალი.

და აი ასლა იმის ირგვლივ დგანან. მთიელნი,
ფარიო ესრებიდან გადაიგდო სერკომ ნაბადი.
ხანძრის ანარეკლს მოუხატავს დასალიერი,
ო, ხვალის დღეო, მტერთა ძლევის დილა დაბადე!

ცეცხლოვან სიტყვას ამბობს სერგო:
— ვაინახებო,
მამულისშვილნო, შრომის შვილნო, ამსანაგებო,
ხალხს შერცხვენილნი ქვეყნად როგორ დავენასვებით,
ჩვენი მახვილი, ჩვენი ძალა მტერს მივაგებოთ!

ძალზე მკაცრია თოვლიანი ეს თქვენი მთები,
ხალხს სითბო უნდა, სიყვარული, წიგნი და პური!
აღსდექით, ძმებო!
თქვენთან არის რუსეთი მთელი,
მილიონობით მართალი და კეთილი გული.

თვისუფლება გვინდა, ძმებო, თავისუფლება,
ჩვენ მიწა გვინდა, მოვხნათ ჩვენთვის, დავთესოთ ჩვენთვის,
ჩვენი სიცოცხლე არასოდეს დაისუდრება,
ჩვენს თავდადებას თვით სიმართლის სინათლე ერთვის.

ამიერიდან მტარვალებმა ვერ გვნახონ ყმებად,
ეშიშრები არ ვართ, ავადინოთ მტერს ზურგზე ბოლი!

სერგო გაჩუმდა. მთიელების აქუხდა კრება:
„ჩვენო მამაცო მეგობარო, სწორი ხარ, სწორი!“

ხალხი ზღვა რისხვით ამღელვარდა. გაიჭრა მთებში
ქუხილი იგი და მთებიდან დაეშვა ზვავად,
ბრძოლაში მიდის გუთნისდედა, მჭედელი, მწყემსი,
ხვალის დღევ, მტრისთვის გათენდი შავად!

დილის მზესავით წაიმძღვარეს დროშა ლენინის,
დუშმანს შეებნენ ვაჟკაცები გულაბორგებით,
ელვად აენთნენ ბასრ ხიშტებზე მკერდდაბჯენილნი
და დაცალეწეს თეთრთა პოლკები.

დეპეშა
მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს
კავკავი, 1919 წლის 7 თებერვალი.

ბრძოლები ქალაქ კავკავის გარშემო და ინგუშეთში მე-6 დღეა გრძელდება. ყველა ინგუში, როგორც ერთი კაცი, დადგა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. წითელი არმია, დაბები კურსკაია და მოლოკანსკაია გმირულად იგერიებდნენ კაზაკთა კონტრრევოლუციური ბანდების შემოტევას.

შეიარაღებული ინგუში ხალხის ყრილობაზე 4 თებერვალს ჩემი წინადადებით გამოცხადებულია დამოუკიდებელი მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკა.

ჩეჩნეთი წითელარმიელებთან ერთად იგერიებს ბანდებს ქალაქ გროზნის ირგვლივ. სუნჟის ხაზის კაზაკებს ამხ. დიაკოვის მეთაურობით მტკიცედ უჭირავთ

საბჭოთა ხელისუფლების მხარე და არტილერიით ანადგურებენ კონტრრევოლუციურ სტანიცებს.

ველოდებით თქვენს დახმარებას კონტრრევოლუციის საბოლოო განადგურებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში.

ორჯონიკიძე.

ჩამოიბერტყეს მთებმა კალთიდან
ომის ფერფლი და ნატისუსალი,
არწივი მზისკენ ლაღად აფრინდა,
მზით მოიხატა კლდეებიც სალი.

სახლში დაბრუნდა გაცვეთილ შინლით
ჯარისკაცი და ეტკინა თვალი —
შამბნარში ქარი დაძრწოდა გმინვით
და წამლილიყო ნახნავის კვალი.

ხანძარს შთაუნთქავს სახლიც...
მთიელი
ეზოდან გადის გულდაზაფრული,
მაგრამ აჩერებს მას ხმა ძლიერი:
„სახნავი გელის! დგას გაზაფხული!

სამშობლო ხოა დაუნაცრავი,
შენც ხომ იყავი სიკვდილის ურჩი?!“

...ხნულში ჩააგდო პურის მარცვალი
და გაუღვივდა სინათლე სულში.

## მუსიკა

მიყვარს მუსიკა წრფელად, მგზნებარედ,
თუმც ბევრი არა გამეგება რა.
მიყვარს, როდესაც თრთოლვით და კრძალვით
შემოდის სულში, ვით პატარძალი
ახალ ოჯახში.

მიყვარს მუსიკა წრფელად, მგზნებარედ,
თუმც მისი ცოტა გამეგება რა.
მიყვარს, როდესაც მაღვიძებს დილით
საოცრად ლბილი, ნაზი და თბილი,
ვით დედის ხელი.

მაგრამ არ მიყვარს მუსიკა ცივი,
როცა ბომბივით კივის და წივის,
არა აქვს აზრი, სითბო, სინაზე
და როგორც ბასრი დანა მინაზე,
ისე ღრჭიალებს.

მე უსიამო გრძნობებით მავსებს
მუსიკა კატის ჩხავილის მსგავსი,
ჩხავილის, რაიც შუაღამისას
ასე უწყალოდ აღვიძებს ბავშვებს
და შიშის ზარს სცემს.

მიყვარს მუსიკა, სულში რომ ფრთას შლის
და ღვინოსავით დაგივლის ტანში,

გულში მხეცს გიკლავს, გაზაფხულს გინიებს
და სიყვარულის მშვენიერ ჩიტებს
გამოგიღვიძებს.

მიყვარს მუსიკა წრფელად, მგზნებარედ,
თუმც ბევრი არა გამეგება რა.
ან რა იქნება ცხოვრება მაშინ,
თუ არ იყლერებს მის ძლიერ ძარღვში
დიდი მუსიკა...

## შემოდგომა

ქარი ხვეტს ფოთლებს, შიშვლად დგანან ხის კენწერონი,—
ნუ აჩქარდები, ნუ იტყვი, რომ მოვიდა შემოდგომა;
აგერ მიფრენენ სამხრეთული ცისკენ წერონი, —
ნუ აჩქარდები, ნუ იტყვი, რომ მოვიდა შემოდგომა.

თუ ნახე, საკრმელს ჭირხლის თეთრი თვლები ჰფარავენ,
ნუ აჩქარდები, ნუ იტყვი, რომ მოვიდა შემოდგომა;
თუნდაც ძალუმად იგრძნო დღეთა სიპატარავე,
ნუ აჩქარდები, ნუ იტყვი, რომ მოვიდა შემოდგომა.

საკვამურიდან ბოლი ცისკენ მიიწევს წყნარად, —
ნუ აჩქარდები, ნუ იტყვი, რომ მოვიდა შემოდგომა,
მაგრამ როცა შენს სიყვარულზე ვეტყვიან „არას“,
აი, მაშინ კი თქვი, რომ შენი მოვიდა შემოდგომა.

## ბერძანელი გოგონა

ბრძოლა გადაჰქუხს გერმანული ქალაქის ქუჩებს,
ტყვიის ღვართქაფმა იმძლავრა როგორ...
მოედნის შუა დალანდეს უცებ
გვარდიელებმა პატარა გოგო.
გერმანელების ტყვიამფრქვევი კაკანებს ცხარედ,
ჭურვების ცეცხლმა ლურჯი ბროლი დაუდაღა ცას.
გოგონა იგი მოკლულ დედას დასტირის მწარედ
და გერმანულად ყვირის რაღაცას.
„ლეიტენანტო, ბავშვი ვიხსნა, მომეცით ნება", —
ერთმა მებრძოლმა თქვა. გოგოსთან ცოცვით მივიდა.
წამი წამს მისდევს. გვარდიელი უკან ბრუნდება
ხელში ბავშვით და მკერდში ტყვიითა.
„დე, ბავშვებს თვალი სისხლის ცრემლმა არ დაუნამოს..."—
უღონო ხელით გოგოს ცრემლი მოსწმინდა ფრთხილად.
...იმ დღეს გროზნოში დარჩა უმამოდ
გოგო, იმ ქერათმიანის კბილა.



# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ხალხური პოეზია


მართალი სიტყვა (ინგუშურიდან) . . . . . 3
ტრიალ მინდორზე (ჩეჩნურიდან) . . . . . 3
მთებო, მაღლებო (ჩეჩნურიდან) . . . . . 6
დედის მწუხარება (ინგუშურიდან) . . . . . 7
ირემი (ჩეჩნურიდან) . . . . . 9
*** (ცხელი ხარ, ტყვიავ...) (ჩეჩნურიდან) . . . . . 10
ნაკადული (ინგუშურიდან) . . . . . 10
ქალიშვილის სიმღერა (ინგუშურიდან) . . . . . 11
სიმღერა სერგოზე (ინგუშურიდან) . . . . . 11


## მთქმელები


ახმატ ნუჩაევი (ჩეჩნურიდან)
განშორება ყველასთან . . . . . 14
ფატიმა მალსაგოვა (ინგუშურიდან)
მამაცო გულო . . . . . 19
ქამისა მურთაზალიევა (ჩეჩნურიდან)
ციცი გაზაფხული . . . . . 21
საიბათ მუნაევა (ჩეჩნურიდან)
*** (როდესაც დგება საღამო) . . . . . 23
ახმატ ხამხოევი (ინგუშურიდან)
სიყვარული . . . . . 25

## საგბოთა პოეტები


ბოლქან ანზოროვა (ჩეჩნურიდან)

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ . . . . . 28

*** (მე თუ დილით ვერა გნახე) . . . . . 29

შაიხი არსანუკაევი (ჩეჩნურიდან)

*** (ცამ აიშუქა და მტრედივით მოფრინდა დილა) . . 31

*** (არ ირხევა ფოთოლიც) . . . . . 31

რუსთაველის სურათთან თქმული . . . . . 32

ძველი სასაფლაო . . . . . 33

რაისა ახმატოვა (ჩეჩნურიდან)

*** (ფანჯრებს გავაღებ) . . . . . 35

*** (თქვენ მეკითხებით) . . . . . 36

*** (მთის ვიწროებში მორბის არღუნი) . . . . . 36

*** (მე სიფრიფანა ყინული ვარ) . . . . . 37

*** (შემოდგომაა, ცამ წვიმა ასვა) . . . . . 38

ოღონდაც მიხმე . . . . . 38

მოვდივარ შენთან . . . . . 39

*** (წყაროს წყალში შეუნიშნე...) . . . . . 40

*** (მე ყველაფერი შემიძლია) . . . . . 41

ხასმაპომედ ედილოვი (ჩეჩნურიდან)

საღამო გაგრაში . . . . . 42

ძეგლი მთის სოფელში . . . . . 43

გაზაფხული . . . . . 44

ახმეტ ვეძიკევი (ინგუშურიდან)

უკვდავება . . . . . 45

სურვილი . . . . . 46

ჯემალდინ იანდიევი (ინგუშურიდან)

არწივი . . . . . 47

*** (თუ მოწყენილი და სიტყვაძვირი) . . . . . 47

*** (თუ უნაგირზე არ ზიხარ კარგად) . . . . . 48

კაცის ენა . . . . . 49

მინიატურები . . . . . 49

თვალები . . . . . 52

8. ეაინახების სიმღერა 113

*** (მოდი, შთაგონებავ...) . 53
არბი მაშაკაევი (ჩეჩნურიდან)
1921 წლის 21 სექტემბერი . . . 54
საღამო . . . . . 57
მაჰომეტ მაშაკაევი (ჩეჩნურიდან)
*** (მუდამ გვათბობენ ჩვენ ხელები მშობელი დედის) . 59
*** (შენ მაჩუქე ბავშვობა განუმეორებელი) . . . . 59
სიმღერა საქართველოზე . . . . . 60
გაზაფხულის ღამე . . . . . 61
*** (როცა ძაან დავიღლები) . . . . . 62
*** (მე მკვდარ მიწაზე მივდიოდი) . . . . . 62
გზები . . . . . 63
*** (ნუ სწუხხარ...) . . . . . 63
*** (თუ სიტყვას მისცემ) . . . . . 64
*** (იფიქრე, სანამ შეუდგები საქმეს რაიმეს) . . . . 64
ნურდინ მუზაევი (ჩეჩნურიდან)
გრძელი გზა . . . . . 65
*** (მოსაღამოვდა...) . . . . . 66
მსხლის ტოტი . . . . . 67
ფიქრები მამაზე . . . . . 68
რკალიდან „საქართველოს სიმღერები"
თბილისი . . . . . 70
ჩემი პოეტი . . . . . 71
ზაინდინ მუთალიბოვი (ჩეჩნურიდან)
დაცხრილული ნაბადი . . . . . 72
მოვალეობა . . . . . 73
ჰაჯი-ბექირ მუთალიევი (ინგუშურიდან)
ჭა . . . . . 74
გაზაფხულის დილის შუქი . . . . . 75
გაუმარჯოს მოუსვენარ გულებს . . . . . 75
ხამზათ ოსმიევი (ინგუშურიდან)
იმ ღამეს . . . . . 77
*** (პირქუშ ყაზბეგზე მაისის მზის შუქი იალებს) . . . 80
ზაფხულის ღამე . . . . . 81

მშობელი მიწა . . . . 82
ბილალ საიდოვი (ჩეჩნურიდან)
ვარსკვლავი . . . . . 84
რკალიდან „ლექსები საქართველოზე"
ალაზანი . . . . . 85
ბაშლამი . . . . . 88
მაპომეტ სულაევი (ჩეჩნურიდან)
ყველაზე ლამაზი ყვავილი . . . . . 90
ტალღა . . . . . 91
ორი ნაკადი . . . . . 91
*** (მახსოვს, დაევცი ამ ქუჩაზე ბავშვი პატარა) . . . 93
მთის ნაკადი . . . . . 93
ახმად სულეიმანოვი (ჩეჩნურიდან)
კლდე . . . . . 95
წყარო . . . . . 96
სადაც ერთვის ნაკადული . . . . . 96
ცეცხლი, რომელიც გულს ათბობს . . . 97
მთებში გათენების ჟამს . . . . . 100
ზაიდ ჩახკიევი (ინგუშურიდან)
იმ ცეცხლოვანი წლების გახსენება . . . . . 101
მუსიკა . . . . . 109
შემოდგომა . . . . . 110
გერმანელი გოგონა . . . . . 111

Песня Вайнахов
(СБОРНИК ЧЕЧЕНО-ИНГУШЕСКОЙ ПОЭЗИИ)
На грузинском языке
Детиздат Грузинской ССР,
«Накадули», Тбилиси, 1977 г.

სბ № 105

რედაქტორი ც. ჩხაიძე, მხატვარი ჯ. ყავლაშვილი, მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე, ტექნიკური რედაქტორი ვ. პირველი, კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი, კორექტორი ი. უშვერიძე. გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 2/XI-76 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.VII-77 წ.
ანაწყობის ზომა 5,5×7
ქაღალდის ზომა 70×108 1/32
საბეჭდი ქაღალდი № 1
ნაბეჭდი თაბახის რაოდენობა 5,07
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,59
ტირაჟი 7.000 შეკვ. № 3293
ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси
ул. Марджанишвили, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი 7.
Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.